# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  სამშაბათი, 14 აპრილი  1998 №55 (590)  ფასი 40 თეთრი

# ლატვია ომს გვიცხადებს...

## ძოძუაშვილი კი გვაიმედებს: თქვენი მტერი, ჩვენი მტერი

**არა, მთლად ასე არ გეგონოთ. ისღა გვაკლია, ახლა ბალტიისპირელები გვეომონ. ეს სიტყვები ლატვიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა და ისიც დაამატა... თუმცა ყოველივეს თანმიმდევრულად, ქვემორე ინტერვიუდან შეიტყობთ. ლატვიაში აბარგებულ ქართველ მწვრთნელს თავდაპირველად აზერბაიჯანელებთან მოახლოებული ამხანაგური თამაშის შესახებ ვკითხეთ.**

**16 აპრილს ლატვია ჩვენს მეზობლებს უნდა გაჯიბრებოდა, მაგრამ ევროპის შესარჩევში ქართველების მეტოქეთა თხოვნით მატჩი გადადებულა. რევაზ ძოძუაშვილმა ჯერ მიზეზი აგვიხსნა, მერე კი ბევრ სხვაზეც ვისაუბრეთ.**



რევაზ ძოძუაშვილი ლატვიის ნაკრების მწვრთნელის რანგში

— აზერბაიჯანელებთან მართლაც გვქონდა დაგეგმილი ამხანაგური მატჩი — თქვა მიზნიამ — თუმცა, ბოლოს უკეთესი ვარიანტი გამოგვიჩნდა. საქმე ისაა, რომ 16-ში რიგას ისრაელის ნაკრები სტუმრობს, თამაში შემოგვთავაზეს და თანხმობაც მიიღეს. აზერბაიჯანს კი მოგვიანებით გავეჯიბრებით.

**— ებრაელებთან უძლიერესი შემადგენლობის გამოძახებას აპირებთ?**

— დროა, ეროვნული გუნდის ბირთვი ჩამოვაყალიბო. საამისოდ უკლებლივ ყველა ლატვიელ ლეგიონერს ვუხმე ეგაა მხოლოდ, ზაპაროჟიეს „მეტალურგმა" გვთხოვა, ზეიბერლინში დაგვახმარეთო და ისრაელიდან ზემლინსკი ვერ ჩამოვა. ისე, იცოდეთ, ორი ტრავმირებული გვყავს — სტეფანოვმა და ბლაგონადეჟინმა მუხლის მძიმე ოპერაცია გაიკეთეს. ბედად ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ საეჭვოა, უახლოეს ხანს ითამაშონ. მალტის ტურნირის შემდეგ ეროვნული გუნდი სრული შემადგენლობით პირველად იკრიბება, ამ ოთხეულის ნაცვლად კი რამდენიმე ახალგაზრდის გამოცდას ვაპირებ, ერთი-ორი ბიჭი თვალში მომივიდა.

**— „სკონტოდან" ისევ მთელ გუნდს ეძახით?**

— რა ვქნა, აბა. ვინც ხეირიანი ფეხბურთელია, ყველა უცხოეთშია. აქაურებიდან კი სკონტოელები გამოირჩევიან. სხვა გუნდებიდანაც დავუმატებ ბიჭებს, მაგრამ ჩემპიონიდან მაინც რვა კაცი გამოვიძახე.

**— შესარჩევების დაწყებამდე კიდევ ვისთან გეგმავთ შეხვედრებს?**

— ინდონეზიელებმა მოგვიწვიეს, ჩამოდით, სამი-ოთხი მატჩი ვითამაშოთო. კარგი იქნება. ნუ იფიქრებთ, ინდონეზიასთან ბურთაობას რა აზრი აქვსო. მათთან შეხვედრებისას შემადგენლობას ჩამოვაყალიბებ. ზუსტი თარიღები ჯერ არ დაგვიდგენია. შევთანხმდით, რომ კიდევ შევეხმიანებიან. სხვა რა გითხრათ, 21 აპრილს ბალტიის თასზე ლიეპაიაში ლიტველებს შევებრძოლებით. სექტემბრამდე კი პირველ და მეორე ნაკრებებს დავუპირისპირებთ რამდენჯერმე ერთმანეთს. ჰო, დამავიწყდა, ახალგაზრდულ ნაკრებში ორი ძლიერი ფეხბურთელი გამოჩნდა. ამათი იმედი მაქვს, კარგი მონაცემები უჩანთ. გვარებს ჯერ საიდუმლოდ ვინახავ.

**— „სკონტოს" ბელგია-ჰოლანდიაში რომ ახლდით, სწორედ იმ დროს ბელგიაში ნორვეგიამ ითამაშა. სტადიონზე არ ყოფილხართ?**

— როგორ არა. ამ თამაშს გამოვტოვებდი? თქვენთვის იოლი წარმოსადგენი რომ იყოს, გეტყვით, ნორვეგიელები რუსების დარ ფეხბურთს თამაშობენ. ძალიან კარგი გუნდია. ახალი რა არის, ფიზიკური მომზადების ხარჯზე 90 წუთი ცხენებივით დარბიან, თავსაც მშვენივრად ხმარობენ. ეგილ ოლსენმა მატჩის მიმდინარეობისას ორჯერ გადააწყო ფეხბურთელები — 4-4-2-ით თავიდან დაიწყეს, მერე კი 4-3-3 გამოიყენეს. ორივე შემთხვევაში გამართულად ითამაშეს. ძნელია, ახლა ვთქვა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ როგორ ფორმაში იქნებიან, მით უმეტეს, მწვრთნელი ეცვლებათ, მაგრამ იმაში კი ვარ დარწმუნებული, რომ მათი დაჩოქება შეიძლება. ყველაფრის მიუხედავად, ნორვეგია არაა ის გუნდი, ქართველებს მათთან შეხვედრებისას მოგება სანატრელი ჰქონდეთ. სოლსკიაერი ჰყავთ, კარგი ბიჭი, ბელგიასთან ერთი გოლი შეაგდო და მეტოქეც გვარიანად ანერვიულა, თანაც მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა. ტორე ანდრე ფლოც აზროვნებს, ამათზე დიდი ყურადღებაა მისაქცევი.

**— ამის გათვალისწინება ჩვენამდე თქვენ მოგიწევთ.**

— 6 სექტემბერს გამოჩნდება, რისი თავი გვაქვს. ნორვეგიასთან კარგი თამაშის სურვილი დიდია, მაგრამ რამდენად მოვახერხებთ, იმ საღამოს გამოჩნდება. ჯგუფში ყველაფერი პირველივე მატჩების შემდეგ გახდება ცნობილი. ღმერთმა ქნას და, თუ ოსლოში წარმატებით ვითამაშეთ, ხომ კარგი, თქვენ გაგიიოლებთ საქმეს. ნორვეგიის კონკურენტი ჩვენზე მეტად საქართველოა. ლატვია, დარწმუნებული იყავით, ყველას ეომება, მათ შორის საქართველოსაც — იცოდეთ, ლატვია ომს გიცხადებთ, მაგრამ... მეეჭვება ქართველებს ვაჯობოთ. ჩვენი საქმე თუ წახდა, იმას მაინც მოვახერხებთ, ქართველთა მეტოქეებს სისხლი ვადინოთ.

**— გუცაევი ხშირად გირეკავთ?**

— პირველად იმას მეკითხება, ბიჭები როგორ არიანო, მათი ჯანმრთელობა აინტერესებს. თითქმის ყოველ კვირას ვლაპარაკობთ. აქაურებზე ყველაფერი აინტერესებს.

**— და რას პასუხობთ?**

— სილაგაძეზე და გვარამიაზე ლაპარაკი ზედმეტია, ძალიან კარგ ფორმაში არიან. ამათი იმედი უნდა გქონდეთ, ნაკრებს ორივე გამოადგება. ლატვიაში მათი ტოლ-სწორი არავინაა, ყველას ათი თავით სჯობნიან-მეთქი.

**— სხვა ქართველები?**

— წერეთელმა და განსაკუთრებით გრიშიკაშვილმა მოუმატეს. პროგრესი აშკარაა. შარშანდელი ერთი წელი წაადგათ, მოემზადნენ და კლუბებში ესენიც გამოირჩევიან. ისე, თუ მკითხავთ, გრიშიკაშვილს კოშკასა და ტოგონიძის შემდეგ საუკეთესო ქართველ მეკარეებში დავასახელებდი. რაც შეეხება რეხვიაშვილს, მენისკის ნაოპერაციევი როგორც იქნა, მოიშუშა, ნელნელა ვარჯიშიც დაიწყო. ხუროძე კი ესტონეთში გავანათხოვრეთ, იქაურმა ჩემპიონმა გვთხოვა, ჩემპიონთა ლიგისთვის დაგვახმარეთო. დანარჩენს მერე გეტყვით. 18 აპრილს ჩემპიონატი გვეწყება.

**— ერთსაც გკითხავთ, სილაგაძის ტრანსფერზე...**

— ლევანს თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის გუნდი ეკურკურება. მენეჯერებმა ლამისაა ყოველ დღე ჩამოაკითხონ, არიქა, აქა და აქ გაგიხერხებ კარგ გუნდსო. კონკრეტულად კი არაფერს ამბობენ, შიშობენ, ტრანსფერი უმაგათოდ არ გაკეთდეს. ბოლოხანს ზედმეტ ყურადღებას ლობანოვსკი იჩენს, სილაგაძის კიევის „დინამოში" გადაბირებას ცდილობს.

**ქობა ინასარიძე**

# დღეს საქართველოს თასის ნახევარფინალია



**დინამო — დილა**

**ბათუმი — თსუ**

# ჩვენს კალათბურთში ლინჩის წესი ბატონობს



## შეშინებული მსაჯი მოედნიდან ტრიბუნაზე ტყუილად ავარდა: ცემას ვერც იქ გადაურჩა

**საქართველოს მე-7 ჩემპიონატი.**
**პლეი ოფი. ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩები.**
სპორტის სასახლე. 13 აპრილი

# აზოტი 2:0 სდასუ
# ვითა 2:0 დინამო

**ვითა — დინამო 109:94 (53:54)**

**ვითა:** აბრამიძე (14), ტურაშვილი (17), ორმოცაძე (13), დავითულიანი (11), ჩუბინიძე (8); ლოსაბერიძე (17), კოკოლიშვილი (17), კორძაძე (2), გაგნიძე (8), ვაშაკიძე (2)
**დინამო:** მაისურაძე (24), ხოშტარია (3), შანიძე (21), ბეჟანიშვილი (3), შენგელია (4); კილაძე (15), ნინიაშვილი (13), მეჭურჭლიშვილი (6), ნათაძე (6)
**მსაჯები:** მოლოდინაშვილი (მაჩალაძე), ბერეკაშვილი

კალათბურთის სპეციალისტთა ვარაუდი, საპლეიოფო მატჩების სპორტის სასახლეში გამართვით ნაკლები შეხლა-შემოხლა იქნება ჩვენს პირველობაზეო, არ გამართლდა. თურმე ჩვენს კალათბურთელებს ნებისმიერ სარბიელზე შეუძლიათ ჩხუბი და არამარტო მოედანზე, ტრიბუნებზეც. „ვითა" — „დინამოს" მატჩების სერია ზეიმი უნდა ყოფილიყო კალათბურთის მოყვარულთათვის, 13 აპრილის ინციდენტმა კი სულაც ჩააშხამა ეს მოლოდინი და ახლა ამ სერიას სასწაული თუ იხსნის. გახსოვთ, ალბათ, „ვითა" — „დინამოს" შეხვედრა ჩემპიონატში ჩაიშალა. ვითელებზე ნაწყენმა მსაჯმა გია მოლოდინაშვილმა მოედანი დატოვა. ახლა ამავე მსაჯზე უკვე დინამოელები განაწყენდნენ. მაგრამ წყენის გამოხატვაც არის და გამოხატვაც...

იხილეთ მეხუთე გვერდი

# შენგელიას და ხოშტარიას ერთი წელი მიუსაჯეს

გუშინდელი მატჩების დამთავრების შემდეგ სპორტის სასახლის დირექტორის კაბინეტში შედგა კალათბურთის ფედერაციის აღმასკომისა და სადისციპლინო კომისიის სხდომა, რომელსაც ჟურნალისტები არ დაასწრეს. „ვითა"-„დინამოს" მატჩში მომხდარი ინციდენტის თაობაზე ვერდიქტი ასეთია: დინამოელებს კახაბერ შენგელიას და ირაკლი ხოშტარიას მიესაჯათ დისკვალიფიკაცია ამ სეზონის ბოლომდე და პირობითი დისკვალიფიკაცია შემდეგ საკალათბურთო სეზონში. ამას გარდა, ორივე დაჯარიმდა 200-200 ლარით. აქვე განიხილეს „მაკაბის" მოთამაშე შველიძის საკითხიც, რომელმაც მე-5 ადგილისთვის მატჩში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. შველიძეს სამი წლით დისკვალიფიკაცია მიეცა.

დღეს „დინამო“ თასის ნახევარფინალში „დილას“ მასპინძლობს. გორელები უსიტყვოდ დანებებას არ აპირებენ, ქვეყნად ყველაფერი ხდება და იქნებ ფინალშიც გავძვრეთო. „დილას“ ხელმძღვანელებს საფიქრალი მოხძალებიათ. ხორგუაშვილი ფორმაში ვერ არის, კაიდარაშვილი ვერ ითამაშებს, მარღიშვილი გაცივებულია, მაგრამ ყველაზე მეტად მწვრთნელებს ვაჟა თარხნიშვილის ფეხი ადარდებთ. ლიბერომ და „დილას“ კაპიტანმა ორი ტურის წინ მიიღო ტრავმა, მერე მინდორზე არც გასულა. მისი თამაში დღესაც საეჭვოა. ბალაშვილი ცენტრში კაცურად კი დგას, მაგრამ ვაჟა მაინც სულ სხვაა, ის რომ თამაშობს, ჩვენც იმედიანად ვართ და ფსიქოლოგიურად უფრო გამართულები გავდივართ მინდორზეო — გვეტყვიან დანარჩენი გორელები. გამოცდილი ლიბეროა თარხნიშვილი, 26 წლისა გუნდში ვეტერანად იწოდება. საიმედოდ კი თამაშობს, მაგრამ ამ ბოლო დროს ნერვებს აჰყოლია. რუსთავში სულაც თამაში მიატოვა და მწვრთნელთა უკითხავად გასახდელს მიაშურა. ჩვენი საუბარიც სწორედ რუსთაველი მატჩით დაიწყო.


ვაჟა თარხნიშვილი

# ჩაწყობილი მატჩიც მითამაშია

## არ მალავს გორის „დილას“ ლიბერო ვაჟა თარხნიშვილი:

— ასეთ მსაჯობას არ ველოდი. „რუსთავთან“ წასაგები რა გვჭირდა, მაგრამ აშკარად გვჩაგრავდნენ და ნერვებმა მიმტყუნა. მერე ვინანე, არ უნდა გამეკეთებინა, მარტო იმიტომ, რომ ახალგაზრდა თანაკლუბელები მიყურებდნენ. მათ მსგავსი რომ ჩაიდინონ, ჩემი ბრალი იქნება. თუმცა თამაშში ჩართული და ალგზნებული, ნერვებმოშლილი ძნელად აცნობიერებ, რას აკეთებ.

**— უცოდველი კრავივით ლაპარაკობ. გორში რომ მსაჯი მოგემხრობათ, აღშფოთებული და მყვირალა თარხნიშვილი არავის უნახავს. ჩვენთან ასეა, შინ გემხრობიან, გარეთ — მასპინძლებს. მსგავსი პირველად ხომ არ ხდება?**

— არაერთხელ ჩამოსულხართ გორში, ჟურნალისტები ჩვენს მატჩებს მუდამ ესწრებით. რომელს მოგიბრუნდებათ ენა და იტყვით, ესა და ეს გუნდი დაწვეს, ძალად წააგებინესო.

**— აბა, „მერანთან“ თამაშში რა მოხდა. გოლი ხომ თამაშგარედან გაუტანეთ, ეს დამტკიცდა კიდეც. სხვა ბევრის გახსენებაც შეგვიძლია.**

— ვერ დაგეთანხმებით. „მერანთან“ ტენდენციურობას ადგილი არ ჰქონია. მსაჯი შეცდა. უშეცდომო კაცი არ მინახავს, ეგეთი მკვდარი გამიგია.

ამ საუბარში თარხნიშვილს სიფიცხე მოეძალა. კაცო, რას გადამეკიდეთ, მარტო ჩვენ გვნახეთ ქვეყნის და ფეხბურთის დამქცევები, სხვაგან გაცილებით უარესი არ ხდებაო. აფეთქებას ცოტა აკლდა, მაგრამ საუბრის თემა შევცვალეთ და ვაჟაც დაგვყვა.

**— „დილას“ რაღა ეშველება?**

— საშველი არაფერი აქვს. გუნდი სულ ადგილობრივი ბიჭებითაა დაკომპლექტებული, გავარდნით ვერაფრით გავარდება, ხოლო მერვე ადგილზე ჯვარი რომ გვაქვს დაწერილი, ყველამ იცით. მეტიც შეგვიძლია, მაგრამ... არსებობს მიზეზი... ბიჭები ერთმანეთს თვალს შევავლებთ და ვიცით, რა ვაკეთოთ მინდორზე, უსიტყვოდ გვესმის. მითხარით მეორე ესეთი გუნდი, რომელშიც სულ ადგილობრივი ფეხბურთელები არიან. ერთი სამტრედიელი გვირევია, მაგრამ ეგეც ჩვენია. ჭანტურიას მეკარეობა გორში ვასწავლეთ.

**— ზემოთ თქვი, ბევრი შეგვიძლიაო. მერე რატომღაც აზრი გაწყვიტე. რა აკლია „დილას“?**

— რა აკლია კი არა, უფრო სწორი იქნებოდა, გეკითხა, ვინ აკლიაო. გიპასუხებ, ბატონო. ვინ გვაკლია და მერაბ ჟორდანია, ბესიკ ჯიქია. ვასილ ხაჭაპურიძე ხომ გახსოვს. ჩაგვიდგეს ასეთი ხალხი სათავეში და ვნახავთ, ვინ გახდება ჩემპიონი და თასის მფლობელი. მეტს რომ გეთხოვთ, ფაქტობრივად ნისიად რომ ვთამაშობთ ნამუსი არ არი ქვეყანაზე, თუ უკვე ჩალით დაიხურა.

**— შენც ადექი და სხვა გუნდში წადი. რა, არავის უნდიხარ?**

— რომ წავედი, რა მოვიგე. ტყუილად წანწალილა შემრჩა. მაგის გახსენებაც არ მინდა. წადიო მეუბნები, უხელფასოდ სირბილი გორშიც მეყოფა, სხვაგან რისთვისღა ვზომო მანძილი. სხვა საკითხია, „დინამოში“ თუ დამიძახებენ, მაგრამ, ეტყობა, იქ არავის ვუნდივარ. ჩამთავრდება სეზონი, მაისის ბოლოც მალე მოვა და მეც ვეცდები, სადმე წავიდე. თუ გამოვიდა რამე ხომ კარგი, არადა „დილასთვის“ ბევრი ოფლი დამიღვრია და არც შემდეგში დამეზარება მშობლიური გუნდისთვის გარჯა.

**— „დილაში“ ახალგაზრდები მოდიან და არ გეშინია, გუნდში შენი ადგილი რომ არ დარჩეს?**

— ძალიან ბებერი გგონივარ? ჯერაც ბევრი შემიძლია. ახალგაზრდები მოდიანო, ამბობ, კაცი არ ვიყო, თუ არ მიხაროდეს. მაგას რა სჯობს. მოვიდნენ, გვერდში დავუდგები, რაღაცას მეც ვასწავლი და მერე თუ საჭიროება და „დილას“ ინტერესები მოითხოვს, ადგილსაც დავუთმობ. არა მგონია, ფეხბურთიდან წასვლის დრო და თარიღი შემეშალოს.

**— კარგა ხანია, „დილას“ საშინაო გუნდის იარლიყი მიეწება. გორში თამაში ყველას უჭირს. გასვლაზე კი სუსტად თამაშობთ. ამის მიზეზად რა არგუმენტს მოიყვანდი?**

— შინ ხისტად თამაში გვჩვევია. ბრძოლაში ბოლო ჯიგარს ვდებთ. რადგან გორელები ვართ და საკუთარი გუნდის სატკივარი ჩვენც გვტკივა. მოწვეულმა შეიძლება ფეხი დაზოგოს, რაღაცის შეეშინდეს, ჩვენთვის გორში შიში უცხოა. დიდ როლს გულშემატკივარიც თამაშობს. ჩვენნაირი მხარდამჭერით ბევრი ვერ დაიკვეხნის. გასვლით მატჩებზე სწორედ ეგენი გვაკლია, თანაც მჭიდრო, ხისტი თამაშის უფლებას ვინ მოგცემს. ჩამოგირიგებენ წითელ-ყვითლებს და უყარე მერე კაკალი.

**— თასის ნახევარფინალში კი გაძვერით, მაგრამ ალბათ „დინამოს“ ვერაფერს მოუხერხებთ. ბევრს განწირულები ჰგონიხართ.**

— არ ვიცი, ვის რა ჰგონია, მაგრამ ჩვენ ისე ვიბრძოლებთ, როგორც არასდროს. მთავარია, თბილისში დიდი ანგარიშით არ წავაგოთ. გორში კი მოგებაც შეგვიძლია. ვიცი, გულში გეცინებათ, მაგრამ ჩვენ ასე ვფიქრობთ. ერთი და ორი მატჩის თამაში ყველას შეუძლია. ახლა ფეხი მტკივა, მაგრამ ვეცდები, აუცილებლად ვითამაშო. ჩემგან „დილა“ ამას მოითხოვს და ღალატი არ იქნება.

**— რაღა დაგიმალო და ამბობენ თარხნიშვილს ჩაწყობილი მატჩიც უთამაშიაო. მართალია?**

— საქართველოში გუნდი არ მეგულება, ჩაწყობილი მატჩი არ ეთამაშოს. ამაში ვერავინ გადამარწმუნებს, იმიტომ, რომ დანამდვილებით ვიცი. გითხრათ არ მითამაშიაო, დამიჯერებთ? არ დამიჯერებთ. ჰოდა, მითამაშია, ბატონო.

**— მაინც რამდენი?**

— რა ვიცი, რამდენი. ეს ყველაფერი წარსულის გადმონაშთია. არეული დროც ხელს უწყობდა. მიდი და ითამაშე ავტომატის ქვეშ, თუ ბიჭი ხარ. სიკვდილს რომ თვალებში უყურებ, მეტოქეს მოურიგდები კი არა, სულ ძმას დაუძახებ. ქვეყანამ იცის, სამი წლის წინანდელი „დილა“ — „მეტალურგი“ ჩაწყობილი რომ იყო, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია. არც ჟურნალისტებს მოგიკლავთ მაინცდამაინც თავი. განა ვინმეს ვამტყუნებ, არავის, გარდა ჩემი თავისა, მაგრამ ქვეყნის ცხოვრების წესსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩაწყობილ მატჩებს ევროპული გრანდები ვერ უხერხებენ ვერაფერს და ჩვენში ვინ დაამტკიცებს. ისე, საქმე უკეთესობისკენ მიდის. მოვა დრო, გასაცემ-გასაჩუქებელი აღარავის ექნება.

**— იქნებ ახლაც არ უნდა გეთქვა სიმართლე?**

— მაშინ რას მეკითხებოდი. არა, ძმაო, თავი გამანებეთ. თქვენსას კაცი ვერაფერს გაიგებს, საშიში ხალხი ხართ.

ვაჟა ისევ გაბრაზდა, გაგვეცალა... დღეს ნახევარფინალია. თარხნიშვილი კი თამაშს აპირებს. მას მართლაც ბევრი შეუძლია და სულაც არ გახლავთ დასაკარგი ლიბერო.

**მამუკა ძვანტალიანი**

## მეორე ჯგუფი

გათამაშების დასასრულამდე 8 ტურია დარჩენილი. თუ გუნდების შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, არხეინად მხოლოდ არმიელები უნდა იყვნენ. ასკ ნამდვილად არ არის ის გუნდი, 11-ქულიანი უპირატესობა ქარს გაატანოს. არმიელებმა წინა ტურში სამტრედიელებს რომ მოუგეს, ერთი ამბავი ატყდა, ეგენი ახლა „ივერიას“ თამაშს მიჰყიდიან და სამტრედიელებს ჩაძირავენო. მათ კი სპორტულ პრინციპს არ უღალატეს და ხაშურელებიც ოდენ ქულას დასჯერდნენ, რაც მათთვის წაგების ტოლფასი იყო.

ამასობაში მეორეადგილოსან „იბერიას“ ხობის „კოლხეთი“ წამოეწია და ნერვებსაც გვარიანად უწეწავს, თუმცა კოლხებს სამტრედიაში გასვლითი შეხვედრა ელით და ბევრიც იქ გაირკვევა.

„ცხინვალმა“ ჩხოროწყუში ფრეს კი მიაღწია, მაგრამ პირველ ჯგუფში ალსაზევებლად მებრძოლ პირველ ოთხეულს საკმაოდ ჩამორჩა და მომავალ წელსაც მეორეჯგუფელობა გარანტირებული აქვს. პოლიციელთა „აკადემიამ“ თავიანთი დაუდევრობით მინუს ხუთს გამოჰკრა ხელი. ეს პირველ წრეში იყო. ის ხუთი ქულა რომ ჰქონდეთ, კიდევ შეფუცხუნდებოდნენ, მაგრამ ახლა ცხინვალელთა ბედის გაზიარება უწევთ.

**მამუკა ძვანტალიანი**

XXII ტური

სამეგრელო — ცხინვალი 1:1
მეშახტე — მერცხალი 2:0
ივერია — ასკ 0:0
იბერია (ს) — სქური 5:0
კოდაკო — აკადემია 1:2
იმერეთი — კოლხეთი 2:5
იბერია (ქ) — საპოვნელა 3:0
ფაზისი — თორი 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 22 | 19 | 3 | 0 | 71:12 | 60 |
| იბერია (ს) | 22 | 15 | 4 | 3 | 51:16 | 49 |
| კოლხეთი | 22 | 15 | 3 | 4 | 55:33 | 48 |
| ივერია | 22 | 14 | 4 | 4 | 53:21 | 46 |
| ცხინვალი | 22 | 12 | 3 | 7 | 52:27 | 39 |
| აკადემია | 22 | 13 | 4 | 5 | 60:22 | 38 |
| მერცხალი | 22 | 10 | 1 | 11 | 33:37 | 31 |
| თორი | 22 | 9 | 4 | 9 | 38:43 | 31 |
| ფაზისი | 22 | 9 | 3 | 10 | 43:40 | 29 |
| სქური | 22 | 9 | 2 | 11 | 30:48 | 29 |
| მეშახტე | 22 | 8 | 2 | 12 | 35:39 | 26 |
| სამეგრელო | 22 | 6 | 4 | 12 | 29:49 | 22 |
| კოდაკო | 22 | 5 | 2 | 15 | 19:45 | 17 |
| იბერია (ქ) | 22 | 5 | 2 | 15 | 25:51 | 12 |
| იმერეთი | 22 | 3 | 1 | 18 | 24:88 | 10 |
| საპოვნელა | 22 | 2 | 2 | 18 | 22:70 | 8 |

## კაიდარაშვილმა სეზონი დაასრულა



გორელი ალექსანდრე კაიდარაშვილისთვის „ოდიშთან“ საშინაო მატჩი ამ სეზონში ბოლო აღმოჩნდა. თავდამსხმელს რა ხანია საზარდული აწუხებს და წესით და რიგით მისთვის ბურთაობა ადრეც დაუშვებელი იყო. ალეკო „ოდიშთან“ მატჩს მოუთმენლად ელოდა, ცდილობდა, თავისი დაემტკიცებინა და თამაშის წინ თბილისელ ექიმებს ეწვია, რათა გამაყუჩებელი ნემსი გაეკეთებინა. გაუკეთეს, გაუყუჩეს და უთხრეს, როდემდე უნდა იწვალო, ამდენი ნემსი კარიერას ნაადრევად დაგამთავრებინებს. ეს ბოლო იყოს, სერიოზულად გჭირდება მკურნალობაო.

კაიდარაშვილმა „ოდიშთან“ ითამაშა, თავისიც დაამტკიცა და მომავალ სეზონამდე ფორმა კედელზე ჩამოკიდა. თავად ალეკოს იმაზე სწყდება გული, დღევანდელი „დინამო“ — „დილას“ თასის ნახევარფინალში რომ ვერ მიიღებს მონაწილეობას.

# ოდიშმა კაცი დაკარგა

სიმონიჩი, ბაღრე, ჯემალ გოგია — აქედან ბოლოა ნამდვილი გვარ-სახელი. დანარჩენი ორი მეტსახელია კაცისა, რომელსაც ქართული ფეხბურთისთვის ბევრი გაუკეთებია. არავის ახსოვს, როდის მოვიდა გოგია ფეხბურთში. უმალ თავადაც ვერ გეტყვით, რამდენი მწვრთნელი გამოუცვლია. ერთხელ ვკითხეთ და ორივე ხელის თითები არ ეყო ჩამოსათვლელად. სიმონიჩმა ყველაფერი იცოდა ფეხბურთში, გათვლილი ჰქონდა უმნიშვნელო დეტალები, არც პატარა საფეხბურთო ეშმაკობები ეუცხოებოდა.

არსად, არავის უმუშავია ამდენი წელი ერთ თანამდებობაზე, ადრე ადმინისტრატორი, ახლანდელი ტექნიკური დირექტორი ზუგდიდური კლუბის სული და გული იყო. ფეხბურთელს არაფერი მოაკლდეს, კუთვნილი არ დაუგვიანდეს, მაგრამ ზედმეტად ნუ გაანებივრებთ, ეგენი რთული კასტის წარმომადგენლები არიანო — ასეთია ბაღრეს ფილოსოფია.

ასეთი გამოცდილების და გაქანების კაცს არაფერი გამოეპარებოდა. „ბათუმის“ გასაჭირი და სოლოღაშვილის საქმე ჩვენს ფეხბურთს წარუშლელ ლაქად აჩნია. მაშინ სომხებს ორივე თამაში მოვუგეთ, მაგრამ მავანთა დაუდევრობის გამო გათამაშებას გამოვეთიშეთ, რადგან არავინ მიაქცია ყურადღება იმას, სოლოღაშვილს თამაშამდე ორი გაფრთხილება რომ ჰქონდა. მაშინ ყველამ ერთხმად აღნიშნა, ბაღრეს ასეთი შეცდომა არ მოუვიდოდაო.

მან „ოდიშისთვის“ ყველაფერი გაიღო. გუნდს წუთით არ მოშორებია, მაშინაც კი, როცა ქვეყანას ომი ანგრევდა. გოგიას და „ოდიშს“ ბევრი უნახავთ, ბევრიც გადაუტანიათ. სიმონიჩი და „ოდიში“ განუყოფლად მიგვაჩნდა. არ ყოფილა ასე. 10 აპრილს ჯემალ გოგიამ გუნდი მიატოვა. უბერებელი ადმინისტრატორი ფეხბურთიდან წავიდა. ბაღრე „ოდიშს“ არც გორში ხლებია გასვლით შეხვედრაზე.

ძნელი სათქმელია, რატომ წავიდა ჯემალ გოგია. მას ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ვერავინ აიძულებდა, უბრალოდ, ვერ გაუბედავდნენ. გუნდში შექმნილ ვითარებას ვერ გაუძლოო, ამბობენ საქმეში ჩახედული ზუგდიდელები. ისეთი რა უნდა იყოს, სიმონიჩს გასავარდნად გამზადებული, უხელფასოდ მყოფი „ოდიში“ ახსოვს, ახლა კი გუნდი ხუთეულში იღწვის, კლუბის ხელმძღვანელების თქმით კი, ფინანსურადაც ამოისუნთქეს.

სიმონიჩს სიბერე შეეპარა, დაიღალა და გუნდიც იმიტომ მიატოვაო — კიდევ ერთი ვერსია.

ჯემალ გოგია ყველაფერს შეელეოდა ამქვეყნად, მაგრამ „ოდიშს“ ვერა. ნუთუ დაგვავიწყდა, როცა ადრე კლუბს ფინანსურად გაუჭირდა, სიმონიჩმა სახლკარი გაყიდა, საცხოვრებლად ერთ-ერთი კორპუსის ბინაში გადავიდა და ფული გუნდს მოახმარა. ბაღრე ახლაც იმ ბინაში ცხოვრობს.

განა ასეთი ფანატი გუნდს მიატოვებდა?! ეტყობა, ახლანდელ „ოდიშში“ მთლად აწყობილად ვერ არის საქმეები. კლუბის ხელმძღვანელები კი ამბობენ, კარგად ვართო, მაგრამ ფაქტები სხვას მოწმობენ. ამით ეს გუნდი თავზე დაემხობათო, გვითხრა ერთ-ერთმა ზუგდიდელმა. ადგილობრივი კაცია და ბევრი რამ იცის შინაური სამზარეულოდან.

ადრე თუ გვიან სიმონიჩი მაინც დაბრუნდება. ახლა წასულია, მაგრამ „ოდიშის“ გარეშე თვესაც ვერ გაძლებს. ვერც „ოდიში“ იქნება ისეთი, გოგიას დროს რომ იყო. მან ყველაფერი იცოდა, ავიც და კარგიც. თამაშიც ჩაუწყვია, ტყუილიც უთქვამს, ჟურნალისტსაც შეხვეწნია, ესა და ეს ფაქტი არ დაწერო, დამალეო. მიუხედავად გარკვეული მინუსებისა, სიმონიჩი მაინც საქმის კაცი იყო და არის.

**მამუკა ძვანტალიანი**

## ოდიშელი ბოთე სამკურნალოა

ზუგდიდის „ოდიშის“ ახალწვეული, წარმოშობით ხაშურელი, ადრე „ივერიასა“ და ბორჯომის “თორში“ ნათამაშევი რევაზ გლუნჩაძე, მეტსახელად ბოთეს რომ ეძახიან, საექიმო გამხდარა. გლუნჩაძე ზუგდიდში მეორე წრის დასაწყისში გადაბარგდა და კლუბის ბომბარდირადაც გადაიქცა. ახლა ამბობენ, კარგა ხანს მოუწევს უსაქმოდ ყოფნაო. თავდამსხმელს ფეხის კუნთი ჰქონია გაწყვეტილი.

გლუნჩაძის გარდა ტრავმირებულები არიან ჩადუნელი, პოლონეთიდან მობრუნებული ბარქაია და ისიანი. ჩადუნელს და ბარქაიას ფეხი აწუხებთო, ხოლო ბოლნისელ ისიანს ძირმაგარა გამოსვლია და სირბილს ვინ ჩივის, მოძრაობაც უჭირსო. იმასაც ამბობენ, ძირმაგარა კი არა, მორიელმა დასუნთქაო. ასეა თუ სხვაგვარად, „ოდიშის“ დასტაქრებს სამუშაო ნამდვილად არ აკლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

XXXIV ტური

**ნიუკასლი 2:1 ბარნსლი**

ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, პირსი, ალბერი, დაბიზასი, ბეტი, ლი, გილესპი (ქეცბაია 57), სპიდი, ანდერსონი (უოტსონი 76), შირერი

ბარნსლი: უოტსონი, იდენი, მოუზისი, დე ზიუ, ბალოკი (მარსელი 87), ბოზანჩიჩი, ჯონსი, კრიჟანი (ტინკლერი 46), უორდი, რედფერნი, ფიორტოფტი (ჰენდრი 52)

1:0 ანდერსონი (40), 1:1 ფიორტოფტი (50), 2:1 შირერი (86)

**ლივერპული 2:1 კრ. პალასი**

ლივერპული: ფრიდელი, ჯონსი, მატეო, ბები, ჰარკნესი (კვარმე 63), რედნაპი, ინსი, ლეონარდსენი, მერფი (ტომპსონი 74), მაკმანამანი, ოუენი

კრ. პალასი: მილერი, ედვორსი, უორჰერსტი, შიპერლი, როჯერი, ბენტი, ჰრიდარსონი, ფალერტონი (გორდონი 63), იანსენი, ლომბარდო, ბროლინი (ჩურჩიჩი 76)

1:0 ლეონარდსენი (29), 1:1 ბენტი (72), 2:1 ტომპსონი (85)

**შეფილდი 1:1 ვესტ ჰემი**

შეფილდი: პრესმენი, უოკერი, კარბონე, ბუთი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ტომი, მეჯილტონი, რუდი (პემბრიჯი 85), ბარეტი, დი კანიო

ვესტ ჰემი: ლამა, ანსუორსი, ლომასი, ფერდინანდი, ლაზარიდისი, ლემპარდი, პირსი, იმპი, აბუ (ომოიმნი 75), ბერკოვიჩი, ჰარტსონი

0:1 ბერკოვიჩი (7), 1:1 მეჯილტონი (59)

**ტოტენჰემი 1:1 ქოვენთრი**

ტოტენჰემი: უოკერი, ფოქსი, ნოსლენი, კარი, ვეგა, კემპბელი, საიბი (კალდერვუდი 5), ბერტი, ჟინოლა, არმსტრონგი (ფერდინანდი 54), კლინსმანი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუზი, ბრინი, ველანი, ტელფერი, ჰოლი (სოლტვედტი 65), ნილსონი, დაბლინი, სტრაჩანი (ბოულენდი 73), მოლდოვანი (ჰაკერბი 60)

1:0 ბერტი (68), 1:1 დაბლინი (86)

# ათოვდა ბლექბერნს...

**დერბი 4:0 ბოლტონი**

დერბი: პოომი, როუეტი, პაუელი, ვან დერ ლაანი, დელაპი (კოზლუკი 73), ბოჰინენი, ერანიო (სოლისი 65), დეილი, ბარტონი (სტარიჯი 82), ვენჩოპი, ბაიანო

ბოლტონი: ბრენეგენი (უორდი 34), კოქსი, ფიში (ბერგსონი 73), ტომპსონი, ელჯოფრი, ფეირკლაფი (სალაკო 46), შერიდანი, ტოდი, ფრანდსენი, ბლეიკი, ტეილორი

1:0 ვენჩოპი (27), 2:0, 3:0 ბარტონი (37,40), 4:0 ბაიანო (90)

**უიმბლდონი 0:0 ევერტონი**

უიმბლდონი: სალივანი, კიმბლი, ბლეკველი, ტეტჩერი, კ. ჰიუზი (იუელი 81), რობერტსი, გეილი, პერი, მ. ჰიუზი, ერდლი, ლებერნი (კლარკი 70)

ევერტონი: მერი, მაკენი, ტილერი, ბოლი, ოკინი, ატკინსონი, შორტი, ბიგრი, ფერგიუსონი, ბარმბი (ოსტერი 86), მადარი (ფარელი 66)

**ბლექბერნი 1:4 არსენალი**

ბლექბერნი: ფეტისი, დავიდსონი (ვალერი 58), კენა, შერვუდი, ჰენდრი, უილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკინლი (რიპლი 79), ენჩოსი, გალაჰერი, დალინი (ბიტი 79)

არსენალი: სიმენი, უინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, ანელკა (პლატი 69), პარლოუ, პეტი, გარდე, ოვერმარსი (ჰიუზი 87), ბერხკამპი

0:1 ბერხკამპი (2), 0:2, 0:3 პარლოუ (7, 14), 0:4 ანელკა (42), 1:4 გალაჰერი (51)

სამყარო შეუცნობადია. რას გაუგებ კაცი ბუნებას — გუშინ ბლექბერნში მოთოვა!

შეიძლება გადაწყდა კიდეც, შეიძლება არა, ჯერჯერობით გადაჭრით თქმა ძნელია, მაგრამ რაც დრო გადის, ინგლისის ჩემპიონის, თანაც ახალის, ვინაობის დადგენა სულ უფრო და უფრო იოლდება.

გუშინ „არსენალმა“ ბლექბერნში იმალა.

პირველობის ლიდერად ჯერჯერობით კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედი“ რჩება, მაგრამ სანამდე გასტანს ოლდტრეფორდელთა ბატონობა ინგლისური ფეხბურთის ოლიმპზე, ვფიქრობთ, ძნელი გასაჭვრეტი არაა. ნელ-ნელა ცხადი ხდება, რომ ლონდონელი „მეთოფეები“ პრემიერლიგის ჩემპიონთა გვირგვინს დაიდგამენ. „არსენალი“ ქვეყნის ჩემპიონს ქულებით კი ჩამორჩება, მაგრამ მეტოქეზე ნაკლები თამაშები აქვს ჩატარებული, მათი მოგების შემთხვევაში კი... წინ ჩემპიონობისკენ!

გუშინ „მანჩესტერ იუნაიტედს“ არ უთამაშია, მაგრამ ითამაშა პრემიერლიგიდან გავარდნის კანდიდატმა „ნიუკასლმა“. წყალწაღებული ჩრდილოინგლისელები მათსავით ცხრილის ბოლოს მყოფ „ბარნსლის“ მასპინძლობდნენ, მაგრამ არანაირი ნიშანი სტუმარ-მასპინძლობის მიღებული წესისა — პრემიერლიგის დებიუტანტი სტუმრები გვარიანად კი ეწინააღმდეგებოდნენ „ჯორდებს“ (ნიუკასლის მეტსახელია), მაგრამ მასპინძლებმა, უფრო სწორედ კი „ნიუკასლის“ ფანთა ღრიალმა შედეგი გამოიღო — ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის ალან შირერის გადამწყვეტმა გოლმა სამი ქულა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ დატოვა. სხვათა შორის, შირერს ამ სეზონში პირველი „დუბლის“ შესრულება შეეძლო, მაგრამ ძელმა შეუშალა ხელი.

— ვგონებ, შევგწევს ძალები, პრემიერლიგაში დავრჩეთ. დარწმუნებული ვართ, მოვახერხებთ კიდეც დარჩენას, მაგრამ დღესდღეობით ჩვენი უმთავრესი მიზანი თასის მოგებაა — „ნიუკასლის“ მწვრთნელ კენი დალგლიშს თვალი მაინც თასისკენ გაურბის.

...რა შეიძლება ითქვას სხვა შეხვედრებზე? ერთის გარდა ბევრი არაფერი — „ქოვენთრის“ კარის დარაჯმა, ვეტერანმა სტივ ოგრიზოვიჩმა პრემიერლიგაში მე-500 მატჩი ითამაშა.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 20 | 7 | 7 | 64:25 | 67 |
| არსენალი | 31 | 18 | 9 | 4 | 52:27 | 63 |
| ლივერპული | 33 | 16 | 10 | 7 | 57:36 | 58 |
| ჩელსი | 33 | 17 | 3 | 13 | 63:38 | 54 |
| ლიდსი | 34 | 16 | 6 | 12 | 50:37 | 54 |
| ბლექბერნი | 32 | 14 | 9 | 9 | 53:44 | 51 |
| დერბი | 33 | 14 | 7 | 12 | 48:41 | 49 |
| ვესტ ჰემი | 33 | 14 | 7 | 12 | 45:41 | 49 |
| ასტონ ვილა | 34 | 14 | 6 | 14 | 42:43 | 48 |
| ქოვენთრი | 33 | 11 | 12 | 10 | 39:39 | 45 |
| ლესტერი | 32 | 11 | 11 | 10 | 39:33 | 44 |
| საუთჰემპტონი | 33 | 13 | 4 | 16 | 41:45 | 43 |
| უიმბლდონი | 33 | 10 | 11 | 12 | 31:34 | 41 |
| შეფილდი | 34 | 11 | 8 | 15 | 48:61 | 41 |
| ნიუკასლი | 33 | 10 | 9 | 14 | 31:39 | 39 |
| ევერტონი | 34 | 9 | 11 | 14 | 38:47 | 38 |
| ტოტენჰემი | 34 | 9 | 9 | 16 | 34:52 | 36 |
| ბოლტონი | 34 | 7 | 13 | 14 | 31:53 | 34 |
| ბარნსლი | 34 | 10 | 4 | 20 | 36:76 | 34 |
| კრ. პალასი | 33 | 6 | 8 | 19 | 28:59 | 26 |

## პირველი დივიზიონი

43-ე ტური. ბერი — ბრედფორდი 2:0; ქრიუ — სტოკპორტი 2:0; სიტი — ბირმინგემი 0:1; ნორვიჩი — ჰადერსფილდი 5:0; ნოტინგემი — ვულვერჰემპტონი 3:0; პორტ ვეილი — ჩარლტონი 0:1; პორტ ვეილი — იფსვიჩი 0:1; რედინგი — მიდლსბრო 0:1; სვინდონი — შეფილდ იუნაიტედი 1:1; ტრანმერი — სტოკპორტი 3:0; ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 43 | 27 | 8 | 8 | 78:39 | 89 |
| სანდერლენდი | 42 | 23 | 12 | 7 | 76:45 | 81 |
| მიდლსბრო | 42 | 24 | 9 | 9 | 70:39 | 81 |
| ჩარლტონი | 43 | 24 | 9 | 10 | 77:49 | 81 |
| იფსვიჩი | 42 | 19 | 14 | 9 | 66:40 | 71 |
| შეფილდ იუნ. | 41 | 18 | 16 | 7 | 60:44 | 70 |
| ბირმინგემი | 43 | 17 | 16 | 10 | 55:35 | 67 |
| ვულვზი | 42 | 17 | 10 | 15 | 49:45 | 61 |
| სტოკპორტი | 44 | 17 | 7 | 20 | 64:66 | 58 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 15 | 12 | 16 | 45:52 | 57 |
| ოქსფორდი | 42 | 16 | 8 | 18 | 57:56 | 56 |
| ბრედფორდი | 43 | 14 | 14 | 15 | 44:50 | 56 |
| ქრიუ | 42 | 16 | 5 | 21 | 48:59 | 53 |
| სვინდონი | 43 | 14 | 10 | 19 | 41:63 | 52 |
| ტრანმერი | 42 | 13 | 12 | 17 | 48:50 | 51 |
| ჰადერსფილდი | 43 | 13 | 11 | 19 | 49:65 | 50 |
| ბერი | 43 | 10 | 19 | 14 | 41:54 | 49 |
| ნორვიჩი | 43 | 12 | 13 | 18 | 46:67 | 49 |
| პორტ ვეილი | 44 | 12 | 10 | 22 | 51:61 | 46 |
| ქუინზ პარკი | 42 | 10 | 16 | 16 | 47:58 | 46 |
| სიტი | 43 | 11 | 11 | 21 | 49:52 | 44 |
| პორტსმუთი | 42 | 11 | 10 | 21 | 45:60 | 43 |
| სტოკ სიტი | 42 | 10 | 13 | 19 | 40:64 | 43 |
| რედინგი | 43 | 11 | 9 | 23 | 37:70 | 42 |

## ავსტრია

შარშან თასი, წელს ჩემპიონობა. „ავსტრიას“ 5:0 განადგურებით „შტურმმა“ ავსტრიული ფეხბურთის ოლიმპი დაიპყრო.

გაჭედილი „შვარცენეგერის“ სტადიონი. 15 ათასი გულშემატკივარი ავსტრიის ჩემპიონატის ლიდერის „შტურმის“, პირველად გაჩემპიონების მოწმე გახდა. პირველობის დასასრულამდე შვიდი ტურით ადრე გრაცის „შტურმმა“ უახლოეს მდევარ, თანაქალაქელ „გრაცერ აკთან“ 22 ქულიანი უპირატესობა ჰპოვა და ტიტულსაც შესწვდა.

... „გრაცერ აკი“ გუშინ „ლასკთან“ 0:1 დამარცხდა.

**უეფას თასის ნახევარფინალი**

# იქნება იტალიური ფინალი?

**ლაციო — ატლეტიკო**

— ლაციო ძალიან სახიფათო გუნდია როცა კონტრშეტევაზე თამაშობს, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. ხვალ რთული მატჩი გველის ძალიან რთული. ფინალში გასვლა ძნელი კია, მაგრამ, ვფიქრობ, ძალგვიძს. რომაელთა დამარცხება — მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი, მუდამ შარში რომ ეხვევა, მისი კლუბის ევროთასის ფინალში გასვლის შანსებს ცოტა გაზვიადებულად აფასებს. საეჭვოა, შინ, „ვინსენტე კალდერონზე“ ძლეულმა მადრიდელებმა სტუმრად „ლაციო“ დაამარცხონ.

შეხვედრა, ხილი ხილისა არ იყოს, უდავოდ რთული იქნება. ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ არც ის ივარგებს, პირველ თამაშში დამარცხებულ ესპანელებს ხაზი გადავუსვათ და იტალიელები უცილობელ ფინალისტებად მივიჩნიოთ.

ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერავინ შეძლო „ლაციო“ დაეჩოქებინა, თუმცა დადგა დრო და რომაელებმაც მოიყარეს მუხლი — ჩემპიონატის უპრინციპულეს შეხვედრაში, რომელიც „ლაციოს“ საჩემპიონო პრეტენზიებს არკვევდა, ტურინის „იუვენტუსმა“ ფილიპო ინძაგის ეული გოლის წყალობით მეტოქის 24-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია დაასრულა. წაგებამ „ლაციო“ არია — ჯერ იყო, იტალიის თასის ფინალის პირველ შეხვედრაში, დიდებულ „სან სიროზე“ წააგო 0:1 მასპინძელ „მილანთან“ მერე კი ჩემპიონატში ვერ შეძლო საკმაოდ სუსტი „ბრეშას“ ძლევა. „ლაციოს“ ფეხი დაუცდა და სამ შეხვედრაში წაიბორძიკა. რა იქნება მეოთხეში?

— ტურინელებთან მარცხმა ფსიქოლოგიურად დაგვრთგუნა. რა შედეგიც მოვიმკეთ, თავად ხედავთ, თუმცა, ვგონებ, უეფას თასზე გართულებებს თავიდან ავიცილებთ. მართალია, ბოლო თამაშები წარმატებულად ვერ ჩავატარეთ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს უფრო მოკლე ჩავარდნა იყო, სწორედ ისეთი, ბრწყინვალე შედეგებს რომ მოსდევს ხოლმე. ეს იმან მაფიქრებინა, რომ იმ შეხვედრაში რომლებიც ვერ მოვიგეთ, ოპონენტებს ჩვენზე უკეთ არამც და არამც არ უთამაშიათ, უბრალოდ, ფორტუნა მათ მხარეს იყო. „ლაციოს“ შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი არ გამორიცხავს უეფას თასის ფინალში მეტოქე „ატლეტიკოს“ ხილვას, თუმცა ამას ეჭვის თვალით უყურებს.

მართლაც, უეფას თასის გათამაშების ფინალში გასვლის რა შანსები აქვს „ატლეტიკოს“?

ვფიქრობთ, არცთუ დიდი, თან თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გუნდი ლამის ლაზარეთად იქცა, რომაელთა წარმუმატებლობაში, ალბათ, ნაკლებად უნდა დავეჭვდეთ.

დღეს „სტადიო ოლიმპიკოზე“, იგივე რომის ოლიმპიურ სტადიონზე მადრიდელთ წამყვანი მოთამაშეები, ლიდერები დააკლდებათ — კლუბისა და ნაკრების ნახევარმცველი, უდავოდ ძლიერი ფეხბურთელი ხოსე ლუის პერეს კამინერო ტრავმირებულია. საეჭვოა პრიმერა დივიზიონის (ესპანეთის ლიგა) საუკეთესო ბომბარდირის, იტალიელი კრისტიან ვიერის თამაშიც — „სკუადრა ამურას“ 22 წლის თავდამსხმელი, ჩემპიონატში 21 ბურთის გატანა რომ მოუსწრია, ფეხის კუნთს შეუწუხებია. „ლაციოს“ ვერ დაუპირისპირდებიან ანდრეი და სანტი — ორივე დისკვალიფიკაციის გამო. მოთამაშეთა პრობლემების გადაჭრა კლუბის თავკაცმა რადომირ ანტიჩმა საკმაოდ იოლად შეძლო — სათადარიგო გუნდიდან კრისტიანო დიასსა და ივორ როდრიგესს უხმო.

— ბიჭების დიდი იმედი მაქვს. „ლაციოს“ ამ ბოლო დროს წარუმატებლობა დასჩემდა, უნდა ვეცადოთ, მასპინძელთა უსიამოვნო სერია გავაგრძელოთ — „ატლეტიკოს“ მწვრთნელი ანტიჩი იმედიანადაა.

ამ დროს ანტიჩის იტალიაში მომუშავე შვედი კოლეგა ერიკსონი ღრმა ფიქრს მისცემია — როგორ უშველოს ნაკლულ გუნდს?

დღეს სტუმართა ძლევაში „ლაციოს“ ვერ დაეხმარებიან დისკვალიფიცირებული ვლადიმირ იუგოვიჩი და ნაკრებში გამოძახებული არგენტინელები — მატიას ალმეიდა და ხოსე შამოტი. სათუოა მცველების — ალესანდრო ნესტას და ჯუზეპე პანკაროს თამაშიც, ხოლო ხორვატი ალენ ბოკშიჩი, მოტეხილი ნეკნის მიუხედავად, ალბათ, მაინც შეეცდება მეტოქის კარის დალაშქვრას.

— „ლაციომ“ ფინალში უნდა ითამაშოს. ჩვენ ღირსნი ვართ, გავხდეთ უეფას თასის მფლობელები! — ვლადიმირ იუგოვიჩმა, რომელიც დღევანდელ მატჩში მაყურებლის როლში იქნება, ნათელი მოჰფინა იტალიელთა ზრახვებს.

„ლაციო“ არასდროს ყოფილა ევროთასის მფლობელი.

**სპარტაკი — ინტერი**

— ბევრი რამაა დამოკიდებული რონალდოზე. გააჩნია, იგი როგორ ითამაშებს. იმის მიხედვით, გაიზრდება ან შემცირდება „ინტერის“ ფინალში გასვლის შანსები. ამას რომ ვამბობ, სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს მილანელებს მხოლოდ ამ ყმაწვილ ბრაზილიელთან ვაიგივებდე. ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა. „ინტერი“ რონალდოს გარეშეც „ინტერად“ დარჩება — მასპინძელთა თავკაცი ოლეგ რომანცევი ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, სწორედ რონალდოსგან ელის ყველაზე დიდ ხიფათს. რუსთა მწვრთნელმა სასხვათაშორისოდ ისიც დასძინა, ჩვენთვის მეტად ხელსაყრელია, თოვლი რომ მოვიდაო.

ამინდი კი მართლაც საშინელია — თოვს, გადაულებლად თოვს. ბუნების ჭირვეულობა რომანცევს კი გახარებია, მაგრამ „ინტერის“ გაჭალარავებულ თავკაცისთვის, ჯიჯი სიმონისთვის რუსეთს სიურპრიზს გული რომ გაეტეხა, რა გასაკვირი იყო.

— საშინელებაა, როცა აპრილია და მაინც გადათეთრებულ მინდორზე გიწევს თამაში, რამდენადაც გავიგე, აქაურებს თოვლის მოსვლა ძალიან გახარებიათ, აქაოდა იტალიელებს ხელი შეეშლებათო, მაგრამ მათ გასაგონად მინდა ვთქვა — ეს ისეთივე ხელისშემშლელი წინაპირობა იქნება ჩვენთვის, როგორც რუსებისთვის — ჯიჯი სიმონიმ ისიც დასძინა, ფინალში სავარაუდოდ ჩვენ გავალთ, „სპარტაკის“ შანსები კი, ვფიქრობ, გაცილებით ნაკლებიაო.

დღეს მოსკოვში რონალდო ითამაშებს. თაკარა მზის გულზე ფეხბურთის ანბანს დაუფლებული ბიჭისთვის ეგებ უცნაურიც კი იყოს გაზაფხულზე თოვლში ბურთაობა, მაგრამ რას იზამ, პროფესიონალის ბედი მკაცრია — ყველგან, ყველანაირ პირობებში უნდა გააკეთო შენი საქმე.

— რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია, მაგრამ, ჩემი აზრით, მას ხვალ გაუჭირდება სპარტაკელი მცველების წინააღმდეგ. ისეც თუ მწვრთნელმა მოინდომა, მის გაუვნებელყოფას მეც შევეცდები — მილანელთა ბრაზილიელი თავდამსხმელ რონალდოს, მოსკოველთა ბრაზილიელი რობსონი ომახიანად ემუქრება. ჯერჯერობით მხოლოდ მინდვრის გარეთ.

ვინ ითამაშებს დღეს და ვინ ვერა, საკითხავი აი, ეს არის. კაცმა რომ თქვას, დიდ ცვლილებებს მეტოქეები არ განიცდიან, კონკრეტულად კი, „ინტერს“ პირველ შეხვედრაში გადამწყვეტი გოლის ავტორი ზე ელიასი არ ეყოლება, რომელიც დისკვალიფიცირებულია, ჰოლანდიელი ნახევარმცველი აარონ მოჰამედ ვინტერი კი დაშავებულია. სამაგიეროდ, მილანელებს დაუბრუნდნენ უდავოდ ძლიერი არგენტინელი და იტალიელი ნახევარმცველები — დიეგო სიმეონე და ფრანჩესკო მორეირო. „სპარტაკი“ ვერ ათამაშებს „აიაქსის“ სამჯერ გამამწარებელ ალექსანდრო ბირკოს. საეჭვოა ტრავმირებული ვალერი კეჩინოვისა და დმიტრი ანანკოს თამაშიც.

**ჩემპიონთა თასის ნახევარფინალი**

# ქანის მოგონებანი

**ბორუსია — რეალი**

ხვალ გერმანელთა ლიდერი ანდრეას მიოლერი ითამაშებს. იქნება იორგ ჰაინრიხიც, მაგრამ ამ ორი, უდავოდ ძლიერი მოთამაშის მატჩებასთან ერთად „ბორუსია“ დასაყრდენ ფეხბურთელებს მაინც მოისაკლისებს. კლუბის ბრაზილიელი მცველი ჟულიო სეზარი და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი შტეფან ფროინდი დისკვალიფიცირებულნი არიან. მათ პირველ შეხვედრაში მეორე გაფრთხილებები მიიღეს. თავდამსხმელი ჰაიკო ჰერლიხი კი ტრავმირებულია.

— „რეალი“ არაა იმ დონის გუნდი, მისი დამარცხება რომ ვერ შევძლოთ. ჩვენ კარგად გვესმის მეტოქის სუსტი წერტილები, მაგრამ მთავარია, მათ როგორ გამოვიყენებთ. შევძლებთ კი მეტოქის ნაკლის წყალობით სარგებლის ნახვას? წინასწარ რამის თქმა ძნელია, ყველაფერი ოთხშაბათს გაირკვევა. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ, უკლებლივ ყველა დორტმუნდელი, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ — მასპინძელთა იტალიელი თავკაცი ნევიო სკალა „რეალის“ დამარცხებას იმედოვნებს.



ფროინდი მადრიდელებს უკნიდან ვეღარ მიეპარება

— თუ მოხდა და 0:3 წავაგეთ, ეს კატასტროფა იქნება — მადრიდელთა თავდამსხმელის ფერნანდო მორენტესისთვის ფინალში გაუსვლელობა წარმოუდგენელია.

ექვსჯერ ფლობდა „რეალი“ ჩემპიონთა თასს. ბოლოს ევროპის ყველაზე პრესტიჟული — საკლუბო ჯილდო მადრიდელებმა შორეულ 1966 წელს მოიგეს. მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა...

**მონაკო — იუვენტუსი**

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ბურთი მრგვალია, მეტოქეც არაა მაინცდამაინც ჩვენზე ძლიერი, ასე რომ, ვფიქრობ, სანამ მეორე შეხვედრაც არ დასრულდება, წინასწარ რამის თქმა ძნელია. მახსოვს, მაშინ, „ბორდოში“ რომ ვთამაშობდი, პლატინის დროინდელი „იუვენტუსი“ კინაღამ შოკში ჩავაგდეთ — ტურინში 0:3 წაგების შემდეგ შინ 2:0 ვიმარჯვეთ. ვეცდებით, ოთხშაბათ საღამოს უდიდესი სენსაცია მოვახდინოთ — მონაკოელთა თავკაცი ჟან ტიგანა „იუვენტუსის“ ფინალისტად მონათვლას არ ჩქარობს. წინ კიდევ საათნახევრიანი დუელია, ვიმედოვნებთ, დაძაბული.

საინტერესოა, როგორ მოეკიდება ამ მატჩს ტურინის „იუვენტუსი“. მართალია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაა, მაგრამ მაინც, შინ 4:1 მოგებამ შეიძლება გარკვეულწილად ზეგავლენა მოახდინოს განმეორებით მატჩზე. ხშირად მომხდარა, პირველი თამაშში შესამჩნევი უპირატესობით ნამარჯვი გუნდები მეორე რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებ სერიოზულობით მიდგომიან, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ასე არ იქნება. რაც არ უნდა იყოს, „მონაკოს“ მეტოქე ვინმე სხვა კი არა, ტურინის „იუვენტუსია“.

იტალიელები საპასუხო შეხვედრისთვის არავის მოისაკლისებენ. ერთი ეგაა, მწვრთნელი მარჩელო ლიპი მეკარე ანჯელო პერუცის და ურუგვაელ მცველ პაოლო მონტეროს ტრავმებმა დააფიქრა. თუ ლიპიმ საჭიროდ ჩათვალა, ზემოხსენებული ორი მობურთალი ხვალ, ალბათ, ითამაშებს, რაც შეეხება „იუვენტუსის“ მეტოქე „მონაკოს“, აქ მრავალი ცვლილებებია მოსალოდნელი: ტრავმის გამო იტალიის ჩემპიონატის ლიდერებს იაფეტ ნდორამი, სილვიან ლეგვინსკი და ფრენკ დუმა ვერ დაუპირისპირდებიან, ხოლო კიდევ ორი ფეხბურთელის — მარტინ ჯეტუს და მუჰამედ კონჯიჩის თამაში ძალიან საეჭვოა — ორივე ტრავმირებულია.

**ელისტერ მაქდონალდი**

**როიტერი**

დარჩა FRANCE 98 56 დღე

# ფუტკისის დროშით

# პელეს აზრი პკითხეს

მაიკლ ოუენი, „ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების 18 წლის თავდამსხმელი, ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიბრწყინებსო, თქვა მსოფლიო ფეხბურთის ბრაზილიელმა ლეგენდამ პელემ, რომელსაც ოუენის ასაკმა 1958 წელს, შვედეთში გამართული ჩემპიონატი და საკუთარი თავი გაახსენა. მაშინ პელე ჩვიდმეტისა იყო.

ოუენი პრემიერლიგაში პირველ სრულყოფილ სეზონს ატარებს და თან ისე წარმატებულად, რომ გასულ კვირაში ინგლისური ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებმა წლის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

— ჩვენთვის, ბრაზილიელთათვის ყველაზე დიდი სიურპრიზი ოუენის აღმოჩენა გახლდათ. ის მხოლოდ 17 წლისაა და დიდ სარბიელზე შარშან გამოჩნდა, მაგრამ ვგონებ, საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე სახელს დაიგდებს — თქვა პელემ მანჩესტერში, იქაური „იუნაიტედის“ 4 მილიონად აგებული ახალი მუზეუმის გახსნის ცერემონიალის შემდეგ.

პელემ 2006 წლის ჩემპიონატზეც ისაუბრა. მოგეხსენებათ, ინგლისი მისი მასპინძლობის უფლების მოპოვებას ცდილობს.

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს აფრიკა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის არასდროს უმასპინძლია. შემდეგაა ბრაზილია და არგენტინა. ბრაზილიაში ხომ მსოფლიოს პირველობა 1950 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. ნურც გერმანიას დავივიწყებთ. ეს ქვეყანა კონკურსში გასამარჯვებლად სერიოზულად იბრძოლებს, ისევე, როგორც ახლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის. ასე რომ, გადაწყვეტილების მიღება ფიფასთვის იოლი არ იქნება, მაგრამ ვგრძნობ, რომ ინგლისს აქვს წარმატების შანსი. თუ 2006 წლის ჩემპიონატს მაინც ევროპა უმასპინძლებს, მაშინ მე ინგლისს დავუჭერ მხარს — დასძინა პელემ.



## ნიგერია

ნიგერიამ დაასახელა 22 ფეხბურთელი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ. მათგან 21 უცხოეთში მოღვაწეობს.

მეკარეები: იკე შორუმნუ (ციურიხი, შვეიცარია), ვილი ოკპარა (ორლანდო პაირატსი, აშშ)

მცველები: ჯერო შაკპოკე (რეჯანა, იტალია), უჩე ოკეჩუკვუ (ფენერბაჰჩე, თურქეთი), უჩე ოკაფორი (კანზას სიტი, აშშ), გოდუინ ოკპარა (სტრასბური, საფრანგეთი), ტარიბო ვესტი (ინტერი, იტალია), პატრიკ პაშალი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი), განიუ აჯიდე (ჯულიუს ბერგერი)

ნახევარმცველები: სანდი ოლისე (აიაქსი, ჰოლანდია), მუტიუ ადეპოჯუ (რეალ სოსიედადი, ესპანეთი), სტივენ მუსა (ზაარბრიუკენი, გერმანია), ჯეი ჯეი ოკოჩა (ფენერბაჰჩე, თურქეთი), უილსონ ორუმა (ლანსი, საფრანგეთი)

თავდამსხმელები: ჯეიმს ობიორა (ანდერლეხტი, ბელგია), ნვანკვო კანუ (ინტერი, იტალია), ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი, ჰოლანდია), გაბრიელ ოკოლოსი (მანჰაიმი, გერმანია), დანიელ ამოკაჩი (ბეშიქთაში, თურქეთი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი, გერმანია), ფინიდი ჯორჯი (ბეტისი, ესპანეთი), ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი)

# იონ ვერსუს ანგელ

იონ ვლადოიუმ, რომელიც გერმანული „კიოლნის“ თავდამსხმელია, საბოლოოდ უარი თქვა რუმინეთის ნაკრების წევრობაზე, რადგან თითქოს და შემორიგებულმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ ბელგიასთან ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად არ გამოიძახა.

გასულ კვირაში ვლადოიუმ თქვა, უწინ ჩემსა და იორდანესკუს შორის უბრალო გაუგებრობა მოხდა, მეტი არაფერიო, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და:

— იორდანესკუმ ტყუილი იმედი მომცა, თითქოს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემს წაყვანას აპირებდა, ახლა კი ისევ არ გამომიძახა მნიშვნელოვან მოსამზადებელ მატჩში მონაწილეობის მისაღებად — თქვა ვლადოიუმ.

რუმინეთის ნაკრები ბელგიას 22 აპრილს ხვდება. ამ შეხვედრაში უცხოეთში მოთამაშე 17 რუმინელი აიმაღლებს გამოცდილებას, მათ შორის კი არაა ვლადოიუ.

ვლადოიუ მესამეა, ვინც იორდანესკუს ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. პირველი იყო „შტუტგარტის“ თავდამსხმელი ფლორინ რადუჩოიუ, მეორე კი მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ნახევარმცველი იონუტ ლუპესკუ.

# ბაჯო და ხალხი

რობერტო ბაჯო, მსოფლიოს წინა ჩემპიონატის იტალიელი გმირი, ახლა „ბოლონიას“ გამთამაშებელი, საფრანგეთის მსოფლიო პირველობაშიც მიიღებს მონაწილეობას — თვლის ჟურნალ „კალჩო 2000“-ის მიერ გამოკითხულ თანამემამულეთა 42 პროცენტი.

20 პროცენტს მიაჩნია, რომ „სკუადრა აძურას“ ახლანდელი თავკაცი, ჩეზარე მალდინი, 1993 წლის ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს, 60 პროცენტის აზრით კი ბაჯო უპირველესად სათადარიგოთა სკამზე იჯდება და მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევებში შევა, როდესაც გუნდს საქმე გამოსასწორებელი გაუხდება.

კითხვაზე, თუკი ბაჯოს საფრანგეთში წაიყვანენ, ვის ნაცვლად უნდა ჩართონ იტალიელთა 22-კაციან განაცხადში, 26-მა პროცენტმა ლონდონური „ჩელსის“ გამთამაშებელი ჯანფრანკო ძოლა უპასუხა, 19-მა პროცენტმა რომელიმე მეკარე, 17-მა პროცენტმა რომელიმე ნახევარმცველი, ხოლო 12-მა პროცენტმა მარსელის „ოლიმპიკის“ ფორვარდი ფაბრიციო რავანელი.

მოსალოდნელია, რომ მალდინი მსოფლიოს ჩემპიონატზე ხუთ თავდამსხმელს იახლებს. რავანელი, პიერლუიჯი კაზირაგი, კრისტიან ვიერი და ალესანდრო დელ პიერო ალბათ უეჭველად მოხვდებიან განაცხადში, რაც იმის ნიშანია, რომ ბაჯოს, ენრიკო კიეზასა და ფილიპო „სუპერპიპო“ ინძაგის მეხუთე ადგილისთვის დიდი ბრძოლის გამართვა მოუხდებათ.

## თურქეთი

30-ე ტური. ქარაბუქი — გაზიანთეფი 0:1; ანკარაგიუჯიუ — გენჩლერბირლიგი 2:0; ანთალია — ვანსფორი 2:0; ქაისერი — ტრაბზონი 5:6; ბურსა — შექერსფორი 0:6; გალათასარაი — ალთაი 6:1; ფენერბაჰჩე — დარდანელი 2:1; ქოჯაელი — ბეშიქთაში 3:2; ისთანბული — სამსუნი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 30 | 19 | 6 | 5 | 72:38 | 63 |
| ფენერბაჰჩე | 30 | 19 | 6 | 5 | 53:22 | 63 |
| ტრაბზონი | 30 | 17 | 8 | 5 | 62:36 | 59 |
| ისთანბული | 30 | 13 | 11 | 6 | 53:33 | 50 |
| ბეშიქთაში | 30 | 12 | 8 | 10 | 52:38 | 44 |
| ბურსა | 30 | 12 | 8 | 10 | 43:43 | 44 |
| სამსუნი | 30 | 12 | 7 | 11 | 39:37 | 43 |
| ანკარაგიუჯიუ | 30 | 11 | 8 | 11 | 35:36 | 41 |
| ქარაბუქი | 30 | 12 | 4 | 14 | 29:41 | 40 |
| ქოჯაელი | 30 | 11 | 6 | 13 | 40:40 | 39 |
| ალთაი | 30 | 10 | 9 | 11 | 34:45 | 39 |
| დარდანელი | 30 | 9 | 10 | 11 | 33:34 | 37 |
| გენჩლერბირ. | 30 | 9 | 9 | 12 | 38:40 | 36 |
| ანთალია | 30 | 9 | 9 | 12 | 45:48 | 36 |
| ქაისერი | 30 | 9 | 4 | 17 | 34:53 | 31 |
| შექერსფორი | 30 | 8 | 6 | 16 | 35:62 | 30 |
| გაზიანთეფი | 30 | 6 | 10 | 14 | 30:39 | 28 |
| ვანსფორი | 30 | 4 | 7 | 19 | 24:66 | 19 |

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 37 | 21 | 9 | 7 | 45:22 | 72 |
| ესტრემადურა | 37 | 20 | 9 | 8 | 52:34 | 69 |
| ლას პალმასი | 37 | 17 | 15 | 5 | 67:40 | 66 |
| ვილიარეალი | 37 | 16 | 14 | 7 | 44:35 | 62 |
| ბადახოსი | 37 | 14 | 14 | 9 | 44:32 | 56 |
| სევილია | 37 | 16 | 8 | 13 | 43:41 | 56 |
| ეიბარი | 37 | 13 | 13 | 11 | 32:26 | 52 |
| ერკულესი | 37 | 14 | 10 | 13 | 44:40 | 52 |
| ატლეტიკო | 37 | 14 | 9 | 14 | 57:45 | 51 |
| ლეიდა | 37 | 14 | 9 | 14 | 42:42 | 51 |
| რაიო | 37 | 14 | 8 | 15 | 43:43 | 50 |
| ლეგანესი | 37 | 12 | 14 | 11 | 41:45 | 50 |
| ოსასუნა | 37 | 13 | 10 | 14 | 35:36 | 49 |
| ტოლედო | 37 | 11 | 14 | 12 | 36:40 | 47 |
| ორენსე | 37 | 12 | 11 | 14 | 33:38 | 47 |
| ალბასეტე | 37 | 12 | 9 | 16 | 37:48 | 45 |
| ელჩე | 37 | 10 | 11 | 16 | 41:49 | 41 |
| ნუმანსია | 37 | 9 | 13 | 15 | 27:45 | 40 |
| ლოგრონიესი | 37 | 8 | 15 | 14 | 30:38 | 39 |
| ხაენი | 37 | 7 | 15 | 15 | 29:46 | 36 |
| სერესი | 37 | 7 | 13 | 17 | 19:38 | 34 |
| ლევანტე | 37 | 7 | 9 | 21 | 34:52 | 30 |

# ემეს შეცვლის ჟანი, ჟანს — ბლენი?



ჟან ტიგანა — სამფეროვანთა მომავალი მწვრთნელი

ჟან ტიგანა, „მონაკოს“ მწვრთნელი და წარსულში დიდი ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრების თავკაცის თანამდებობაზე ემე ჟაკეს შეცვლის. მის კანდიდატურას მხარს უჭერს ჟაკეს წინამორბედი, ტიგანას ოდინდელი თანაგუნდელი, 1983, 1984 და 1985 წლების ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, ახლა კი საფრანგეთი 98-ის საორგანიზაციო კომიტეტის თანაპრეზიდენტი მიშელ პლატინი.

— ყველაფერი ტიგანას სასარგებლოდაა — თავის მხრივ განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ.

ტიგანას გაშვება „მონაკოს“ მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. სამთავროს გუნდი ცდილობდა, მასთან ახალი კონტრაქტი გაეხერხებინა და 2002 წლამდე დაეტოვებინა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა. შესაბამისად მონაკოში ახალი მწვრთნელის მოძიების პრობლემა წამოიჭრა და აგორდა ჭორი, თითქოს იქ ასეთად თავიანთი ყოფილი ფეხბურთელი, დღეს ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გლენ ჰოდლი ჰყავთ შეგულებული.

ბოლო ცნობების თანახმად, „მონაკო“ ჰოდლს 3 მილიონ გირვანქას სთავაზობს იმ გუნდში დასაბრუნებლად, სადაც ახალგაზრდობაში სამი სეზონი იბურთავა ლონდონის „არსენალის“ დღევანდელი თავკაცის არსენ ვენგერის ხელმძღვანელობით.

შეგახსენებთ, რომ ჰოდლს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან დადებული კონტრაქტის თანახმად ახლანდელ თანამდებობაზე 2000 წლამდე დარჩება.

# ითხოვეთ სტოიჩკოვი!

ხრისტო სტოიჩკოვი ხომ იცით?! ბულგარელი ვარსკვლავი, 1994 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, კრუიფისდროინდელი „ბარსელონას“ ერთ-ერთი წამყვანი წევრი ახლა ორი თამაშით საუდის არაბეთის „ალ ნასრშია“ გათხოვებული.

საუდის არაბეთში მენავთობეებს დიდძალი ფული აქვთ. სტოიჩკოვს კი ჯერ კიდევ შეუძლია ხეირიანად ბურთაობა, ჰოდა, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო — ბულგარელის გოლით „ალ ნასრმა“ აზიის თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრა, კორეის „სამუნგ სუვონს“ ფინალში 1:0 მოუგო.

სტოიჩკოვმა შეხვედრის ერთადერთი გოლი თამაშის მე-11 წუთზე გაიტანა და საუდის არაბეთს ჯილდო ზედიზედ მეორედ მოაპოვებინა — გასულ გათამაშებაში ამავე ქვეყნის სხვა გუნდმა, „ალ ჰილალმა“ გაიმარჯვა.

## ფეხბურთის რუკასთან



**იუგოსლაველ** ტალანტებს ევროპის დიდ საფეხბურთო ქვეყნებში საოცარი გასავალი აქვთ. „პარი სენ ჟერმენი“ „ცრვენა ზვეზდას“ თავდამსხმელს მიოდრაგ პანტელიჩს ურიგდება, „ბორდო“ მეორე დივიზიონის ოფკ-ს ბომბარდირს, ვანია გრუბაჩს უპირებს გადაბირებას, ბერგამოს „ატალანტა“ „პარტიზანის“ მცველთან დრაჟენ ბოლიჩთან ფაქტობრივად შეთანხმებულია, „პარტიზანისავე“ მეკარე, ივიჩა კრალი კი ალბათ მადრიდის „რეალს“ მიაშურებს, მის ნაცვლად „პარტიზანის“ კარს მაკედონიელი პეტარ მილოშევსკი დაიცავს, რომელიც დღეს სკოპიეს „ვარდარის“ წევრია.

**ინგლისური „ასტონ ვილას“ მწვრთნელი ჯონ გრეგორი ესაუბრა იუგოსლაველ თავდამსხმელს სავო მილოშევიჩს და საბოლოოდ გაარკვია, რომ მილოშევიჩი ბირმინგემში დამრჩენი არ არის. „მე სავოს ვკითხე, ღირს თუ არა მისი ჩემს სამომავლო გეგმებში გათვალისწინება. მან არა მიპასუხა. როგორც კი მისთვის შესაფერის კლუბს გამოვძებნით, უპრობლემოდ დაგვტოვებს. მე არანაირი სურვილი გამაჩნია, გუნდში მყავდნენ ისეთი მოთამაშეები, რომლებიც „ვილასთვის“ თავის დადებას არ აპირებენ“ — თქვა გრეგორიმ. შეგახსენებთ, რომ „ასტონ ვილამ“ მილოშევიჩი ბელგრადის „პარტიზანისგან“ 1995 წელს 3,5 მილიონ გირვანქად შეიძინა.**

**იტალიური** „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა ალესანდრო დელ პიერომ განაცხადა, რომ მისი ინგლისში გადასვლის ამბავი პირწმინდა ტყუილია. ჭორი, რომელიც წინა კვირაში გავრცელდა, ამტკიცებდა, რომ დელ პიეროს ლონდონის „ჩელსიში“ მისი თანამემამულე, ლონდონელთა მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი ეპატიჟება. დელ პიერომ თქვა: „ლონდონში აბსოლუტურად არაფერი მომხდარა. ჩვენ ვივახშმეთ და ბავშვებს უოლტ დისნეის მულტფილმები ვაჩვენეთ. ეს ჭორები ჩემს იმიჯს ლახავენ. მე თუ „იუვენტუსში“ რამე პრობლემა შემექმნება, პირადად მოვაგვარებ და არა პრესის საშუალებით“. დელ პიეროს კონტრაქტი ტურინის გუნდთან 2000 წელს იწურება, მაგრამ ამბობენ, მისი ახალი ვარიანტი უკვე მზადდებაო. „შეუცვლელი არავინაა, გაყიდვა ყველასი შეიძლება, მაგრამ ახლა „იუვე“ ჩემს გასხვისებას ნამდვილად არ აპირებს. ჩემი კონტრაქტის ამოწურვამდე ორი თვე რომ რჩებოდეს, ჭორების საფუძველი გასაგები იქნებოდა, მაგრამ ვის რაში სჭირდება ხმების გავრცელება ორნახევარი წლით ადრე, გაუგებარია“ — დასძინა დელ პიერომ. შეგახსენებთ, რომ ალესანდრო დელ პიერო 23 წლისაა.

**მაროკოელი ნახევარმცველი საიდ ჩიბა სეზონის მერე შესაძლოა ესპანური „კომპოსტელადან“ წავიდეს. გაზეთ „სპორტს“ მან განუცხადა, რომ ამ გუნდში თავის პერსპექტივას ვერ ხედავს. ჩიბა 27 წლისაა, მან „კომპოსტელაში“ ორი სეზონი გაატარა, მაგრამ ახლა მხოლოდ ოთხჯერ ათამაშეს, არადა, წესით კიდევ ორი სეზონი არსად უნდა წასულიყო.**

**ბრაზილიაში** პნევმონიისგან 90 წლისა გარდაიცვალა ალფრედო მორეირა ჟუნიორი, რომელიც 1954 წლის წარუმატებელ მსოფლიოს ჩემპიონატში ეროვნულ გუნდს წვრთნიდა. აღსანიშნავია, რომ მას უფრო ზეზე მორეირად იცნობდნენ და მან ბრაზილიელებს პირველი საერთაშორისო ტიტული მოაპოვებინა — 1952 წელს მოაპოვებინა პანამერიკული თამაშების ჩემპიონის წოდება.

**შვეიცარიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ალან გაიგერი სამი წლით „ქსამაქსის“ მწვრთნელი გახდა. მან ამ თანამდებობაზე შეცვალა ჟილბერტ გრესი. გაიგერი 37 წლისაა, მან ფეხბურთელობისას ნაკრებში 112 შეხვედრა ჩაატარა. ახალ პოსტზე მუშაობას იგი 15 ივნისს დაიწყებს. თამაში გაიგერმა გასული წლის აპრილში „გრასჰოპერში“ დაამთავრა.**

**ესპანეთში** უცნაური მდგომარეობაა: თასის ნახევარფინალში წაგებული გუნდები „რეალ სარაგოსა“ ან მეორე დივიზიონის „ალავესი“ არაა გამორიცხული მომდევნო სეზონში თასების თასის გათამაშებაში მოხვდნენ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ერთ-ერთი ფინალისტი, „მალიორკა“ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავა. „მალიორკა“ 29 აპრილს თასის ფინალში „ბარსელონას“ ეთამაშება. „ბარსა“ უეჭველად ესპანეთის ჩემპიონი გახდება. შესაბამისად ორივე ფინალისტი შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაში მოხვდნენ და ასეთ შემთხვევაში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით თასების თასზე გამსვლელი გუნდის ვინაობის გასარკვევად დაინიშნება თამაში „სარაგოსა“ — „ალავესი“.

**ინგლისურმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს“ გაცვლა შესთავაზა: აძლევს იოჰან კრუიფის თავდამსხმელ ვაჟს და კიდევ ფულს, სანაცვლოდ კი ცენტრალურ მცველს 25 წლის იაპ სტამს ითხოვს. კრუიფს „იუნაიტედის“ სასტარტოში გასული წლის ოქტომბრის შემდეგ არ უთამაშია, თებერვალში კი შემცვლელად ბოლოჯერ გამოიყენეს.**

**კვიპროსის** ჩემპიონატის 23-ე ტური. ეთნიკოსი აჩნა — ანორთოსისი 1:3, ომონია — აპოპი 8:1, აპოლონი — ენოსისი 2:1, აეკი — ეთნიკოს აშა 1:2, ევაგორასი — აპოელი 4:2, ანაგენისისი — აელი 0:1, ნეა სალამინა — ალკი 0:1. 59 ქულით ლიდერობს „ანორთოსისი“, 57 აქვს „ომონიას“, ხოლო „აპოლონს“ — 54.

**ესტონეთის ჩემპიონატში საგაზაფხულო თამაშები დაიწყო. ექვსიდან ორი გუნდი, რომლებიც აქამდე უარეს დღეში აღმოჩნდნენ, შეჯიბრებას ჩამოშორდნენ, დანარჩენებს საშემოდგომო ქულები შერჩათ და ისე აგრძელებენ პირველობისთვის ბრძოლას. პირველ საგაზაფხულო ტურში „ფლორამ“ 6:2 მოუგო „ტრანსს“, TVMK-მ კი „ვილიანდის“ 1:0 აჯობა. ცხრილს 22 ქულით ლიდერობს „ფლორა“, 16-ით მეორეზეა „ტალინა სადამი“, შემდეგ სამ გუნდს „ვილიანდის“, „ლანტანას“ და TVMK-ს 10 ქულა აქვს, ბოლოზე კი 8 ქულიანი „ტრანსია“.**

**უნგრელი** ქომაგები კვირას დიდი მოლოდინით მიუსხდნენ ტელევიზორებს, ყოველკვირეული პროგრამის „გოლ, გოლ, გოლ“-ის სანახავად, მაგრამ გაწბილდნენ, რადგან... ერთი ახალი გოლიც ვერ ნახეს. განა იმიტომ, რომ უნგრეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში გოლი არ გასულა, საქმე ისაა, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთის ამბავთა ტრანსლაციის საკითხებს ახლა სასამართლო არჩევს და არხ TV2-ს სტადიონებზე კამერების შეტანა აეკრძალა. მოკლედ, კვირას ზემოხსენებული გადაცემა უპირატესად მატჩისწინა და მატჩისშემდგომი პრესკონფერენციებით იყო შედგენილი და გარდა ამისა მასში მრავლად იყო წინა ტურებში გატანილ გოლთა ვიდეოჩანაწერი. კონფლიქტი, რომელმაც ეს ისტორია გამოიწვია, წამოიწყო კომპანიამ სახელწოდებით „ფუტბოლ დუო“. მან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას უჩივლა, საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციის უფლება მე მეკუთვნისო. არადა TV2-ს კონტრაქტი ფედერაციასთან ჰქონდა დადებული.

**ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტმა მიშელ დენიზომ, რომელიც სეზონის ბოლოს თანამდებობიდან მიდის, ღირსება დაიცვა. დიახ, პარიზული კლუბის პრეზიდენტის გადადგომის მიზეზი გუნდის ჩემპიონატში ცუდი გამოსვლა გახლავთ, მაგრამ ახლა, ქვეყნის ლიგის თასის მოპოვებამ და ჩვეულებრივი თასის ფინალში გასვლამ დენიზოს მორალური კომპენსაცია მიანიჭა. შეგახსენებთ, რომ ფრანგული თასის ფინალი 2 მაისს გაიმართება. მასში „პარი სენ ჟერმენი“ დაუპირისპირდება „ლანსს“, იმავდროულად ჩემპიონატის ლიდერს. დენიზო და ფრანგული ტელეარხი „კანალ პლუსი“ „პარი სენ ჟერმენის“ სათავეში 1991 წელს მივიდნენ. მას მერე გუნდმა 1993 და 1995 წლებში მოიპოვა ქვეყნის თასი, 1995 წელს და წლეულს — ლიგის თასი. „პარი სენ ჟერმენი“ გახდა ერთადერთი ფრანგული გუნდი, რომელმაც ერთ წელიწადს ორივე თასი მოიპოვა. მომდევნო სეზონში „პარი სენ ჟერმენი“ გამოვა თასების თასზე ანუ შეჯიბრებაში, რომელშიც 1996 წელს გაიმარჯვა. ახალ სეზონში პარიზული კლუბის პრეზიდენტი გახდება ჟურნალისტი შარლ ბიეტრი.**

# ჩვენს კალათბურთში ლინჩის წესი ბატონობს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ყველაფერს თავიდან მივყვეთ. ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩი „ვითამ“ პირწმინდად მოიგო. დინამოელები მეორე შეხვედრას უფრო მობილიზებული შეხვდნენ. სასტარტო ხუთეულში ვალერი კილაძის მაგივრად მოსეშვილმა ირაკლი შანიძე გამოიყვანა და მანაც ჩინებულად ითამაშა. „ვითა“ ახლაც ორმოცაძის ორი შედეგიანი გარღვევით დაწინაურდა. მაგრამ წინა მატჩისგან განსხვავებით დინამოელებს ახლა ისე შორს აღარ გაუშვიათ, შანიძემ და ხოშტარიამ მალე გაათანაბრეს ანგარიში. „ვითა“ კარგა ხანს მხოლოდ ერთი-ორი ქულით იყო წინ, სანამ მე-8 წუთზე ორმოცაძის სამქულიანით ოთხქულიან სხვაობას მიაღწევდა. ასეთი სხვაობა კარგა ხანს შენარჩუნდა. მე-19 წუთზე 20:16 იყო „ვითას“ სასარგებლოდ. „დინამო“ პირველად მე-12 წუთზე დაწინაურდა მაისურაძის ზუსტი სამქულიანით 25:24. და ისევ მისი შესანიშნავი თამაშის წყალობით ლიდერობაც კარგა ხანს შეინარჩუნა. მე-14 წუთზე ანგარიშია 31:28 „დინამოს“ სასარგებლოდ. საგანგაშო მხოლოდ ისაა, რომ „დინამოს“ ლიდერებს ამ დროისთვის ბევრი პერსონალური შენიშვნა დაუგროვდათ. ხოშტარიას — ოთხი, მაისურაძეს და ბეჟანიშვილს სამ-სამი, მოსეშვილმა ხოშტარია დაასვენა. გაგნიძემ ერთ ქულამდე შეამცირა სხვაობა და აქ მოხდა ინციდენტი, რომელმაც ყველაფერი წაახდინა. ვითელთა ფარქვეშ მსაჯმა მოლოდინაშილმა შენგელია კოკოლიშვილთან ორთაბრძოლაში დააჯარიმა. ჩემი აზრით, შენგელიამ მხოლოდ ხელები გაშალა, მაგრამ მსაჯმა ჩათვალა, რომ შენგელიამ შეაგინა და ტექნიკური საჯარიმოთიც დასაჯა დინამოელები. აქ ლევან მოსეშვილი გამოვიდა მოედანზე ამის გასარკვევად. ამ დროს მოლოდინაშვილმა უკვე სათადარიგო სკამზე მჯდომი ირაკლი ხოშტარია დასაჯა ტექნიკურით, რადგან მისგან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიიღო. შენგელიამ მოლოდინაშვილს ხელი მოუქნია. მოლოდინაშვილი გაიქცა, მას ხოშტარია დაედევნა. სირბილი უკვე ტრიბუნებზე გაგრძელდა, ხოშტარიამ მთლად კარგად ვერ მოასწრო მსაჯის მოხელთება, მაგრამ იქ უეცრად გამოვარდნილმა „დინამოს“ გულშემატკივარმა მოამთავრა მსაჯზე შურისძიების საქმე — ბოლო მუშტი უთავაზა მოლოდინაშვილს... ცხადზე ცხადია, რა უმსგავსო ინციდენტთან გვაქვს საქმე. ჩემი აზრით, მსაჯის გადაწყვეტილება შენგელიას მისამართით აშკარად მცდარი იყო. საერთოდაც, ზოგი ჩვენი არბიტრის კვალიფიკაცია ნამდვილად ვერაა სათანადო დონეზე, მაგრამ მსაჯის თითოეული შეცდომის გამო მისი ასეთი სახით დასჯა აშკარად სცილდება სათამაშო და ეთიკურ კი არა, ყოველგვარ ადამიანურ ნორმებს...

მატჩი 10-15 წუთით შეწყდა. მოლოდინაშვილი სხვა მსაჯით, მაჩალაძით შეცვალა. შენგელია და ხოშტარია მოედნიდან გაძევდნენ. „დინამო“ ორი წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩა. სულ მთლად ნორჩ მოთამაშეებთან ერთად დარჩენილმა მაისურაძემ და კილაძემ ყველაფერი ილონეს მატჩის გადასარჩენად, ახალგაზრდებმაც ღირსეულად აუბეს მხარი, მაგრამ შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო. დინამოელებმა მეორე ტაიმის შუაწელამდე სდიეს მეტოქეს, შემდეგ კი ვითელებმა გაილაღეს და მატჩი, რომელიც საინტერესო სანახაობად უნდა ქცეულიყო, ადვილად აქციეს გამარჯვებად. სერიაში 2:0 „ვითა“ დაწინაურდა და დინამოელებს, რომლებიც ხოშტარიასა და შენგელიას გარეშე დარჩნენ, საქმე ძალიან გაურთულდათ. ღირდა კი ამისთვის ის ეპიზოდი: არც ირაკლი ხოშტარია და არც კახა შენგელია არ ითვლებიან უდისციპლინო მოთამაშეებად, მაგრამ გონების ხმის დახშობა იმ ეპიზოდში გუნდს ერთობ ძვირად დაუჯდა.



ბოისა საქმეს მშვიდად აკეთებს

### აზოტი — სდასუ 93:90 (45:43)

**აზოტი:** გაბისონია (2), წიკლაური, ბოისა (21), გოგობერიშვილი (27), ჯაფარიძე (24); კიკვიძე (4), კეჟაყმაძე, გოგოლაძე, ბერუაშვილი (15)

**სდასუ:** ჩერქეზიშვილი (13), ჩხეიძე (8), აბულაძე (3), ნაცვლიშვილი (25), ოთიურიძე (27); მუშკუდიანი (8), სანაძე (6), ახობაძე, მგალობლიშვილი

**მსაჯები:** მაჩალაძე, თოიძე

ეს მატჩიც ბეწვზე გადაურჩა ცემატყეპას — თანაგუნდელებმა დროზე შეაკავეს აღელვებული ბერუაშვილი.

სდასუმ კარგად დაიწყო, ნაცვლიშვილისა და ოთიურიძის ჩინებული თამაშით მოიხელთა ინიციატივა და მე-8 წუთზე ჩერქეზიშვილის ზუსტი სროლის შემდეგ ხუთი ქულითაც დაწინაურდა 16:11. რუსთაველები უჩვეულოდ აბნეულნი იყვნენ. მხოლოდ გოგობერიშვილი და ბოისა აძლევდნენ შეტევებს მწყობრ ხასიათს. „აზოტმა“ მხოლოდ მე-10 წუთზე შეძლო წინ გასვლა, მაგრამ დროებით, ნაცვლიშვილი და ოთიურიძე კვლავ კარგად თამაშობენ მეტოქის ფარზე და ლიდერობას სდასუ ინარჩუნებს. აქ შესანიშნავად თამაშობს გოგობერიშვილი: შორიდანაც ჩინებულად ისვრის, გადაცემებსაც ჭრის და პარტნიორებიც გაჰყავს შეტევის დასაგვირგვინებლად. „აზოტი“ 7-ქულიან უპირატესობას იძენს. მაგრამ ამ დღეს სდასუ არაა ისე ადვილად დასამარცხებელი გუნდი, როგორიც წინა მატჩში. ნაცვლიშვილისა და ჩერქეზიშვილის მეცადინეობით რუსთაველები პირველ ტაიმს მხოლოდ ორი ქულის სხვაობით იგებენ.

მეორე ტაიმში რუსთაველებმა მალევე სცადეს მატჩის ბედის გადაწყვეტა, ბერუაშვილს, გოგობერიშვილს და ჯაფარიძეს კარგა მანძილზე გაჰყავთ თავისიანები წინ 68:53. და თუმცა სდასუელები არ ნებდებიან და რვა ქულამდე ამცირებენ სხვაობას, მატჩი მაინც ძნელი შემოსაბრუნებელი ჩანს. მაგრამ ისევ რუსთაველთა ტრადიციული სენი — გადაჭარბებული ნერვიულობა, როცა სულაც არ აქვთ სანერვიულო. ბერუაშვილმა იმდენი მოახერხა, რომ წამებში 6 საჯარიმო სროლის უფლება მოაპოვებინა მეტოქეს. სდასუმ ოთხი გამოიყენა. ანგარიში 78:75 გახდა და მატჩი კვლავ დაიძაბა. კრიტიკულ მომენტში ყველაზე მშვიდმა ბოისამ უშველა „აზოტს“ და ზედიზედ სამი შეტევა დაასრულა შედეგიანად. სდასუ განაგრძობდა დევნას და სანაძემ, რომელსაც ამ დღეს საერთოდ არ გამოუვიდა თამაში, 1.30 წუთით ადრე ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა 87:85. 24 წამით ადრე კი მუშკუდიანმა 1 ქულა გახადა სხვაობა. სდასუელები შეცდნენ, მაინცდამაინც გოგობერიშვილზე დაჯარიმდნენ, რამაზმა ზუსტად ისროლა ორივე საჯარიმო და გუნდს, ფაქტიურად, გამარჯვებაც მოუტანა. მეტოქეთა ბოლო ჩხვლეტებმა მხოლოდ საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

**გია აგლაძე**
**გიორგი გიკაშვილი**
**გურამ დოლენჯაშვილის ფოტო**

## მატჩის საუკეთესო მოთამაშე
## სარბიელის ვერსია

### ვითა — დინამო

#### ირაკლი მაისურაძე

ძნელ სიტუაციაში დარჩენილ დინამოელებს მაისურაძე გაუძღვა წინ. ირაკლიმ ყველაფერი გააკეთა და ოთხი კაცის მაგივრად იბრძოდა, ბურთებსაც ხსნიდა, გადაცემებიც ჩაჭრა და ქულებიც მოაგროვა. მაგრამ ამ მდგომარეობაში გუნდი მაინც ვერ იხსნა.



— თამაში კარგად დავიწყეთ და რომ არა ეს ინციდენტი, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებდით. ამ მომენტში მეც იქ ვიმყოფებოდი და, მერწმუნეთ, კახას მსაჯისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვა, რისთვისაც ტექნიკურით დასაჯა, არ უკადრებია. მე დათმობა არ მჩვევია და ყველაფერს გავაკეთებ, რათა შემდეგი მატჩი მოვიგოთ.

### აზოტი — სდასუ

#### რამაზ გოგობერიშვილი

რამაზმა, როცა „აზოტს“ თამაში მაინცდამაინც არ წაუვიდა, გადაცემებით, ჩაჭრებით და ზუსტი შორეული ტყორცნებით არ გაუშვა მეტოქე წინ. მისი სამქულიანები ყოველთვის დროული იყო. საგოლე პასებითაც უხვად მოამარაგა პარტნიორები.



— ჩვენ ეს თამაში ასე არ უნდა დაგვეძაბა. თავიდან ძალიან თავდაჯერებულებმა დავიწყეთ და მეტოქეს დაწინაურების საშუალება მივეცით. ყველაფერი კარგად დამთავრდა. მომდევნო მატჩს უფრო სერიოზულად მივუდგებით და ვეცდებით, სამ შეხვედრაში დავასრულოთ ნახევარფინალური სერია.


## სარბიელი
## სპორტული ლატარია “CROCO”

**უეფას თასი. ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები

14 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტაკი — ინტერი | (5,0-1,1) | 4,0 | 2,7 | 1,9 |
| ლაციო — ატლეტიკო | (1,05-7,5) | 1,5 | 3,1 | 7,0 |

**ჩემპიონთა თასი. ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები

15 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მონაკო — იუვენტუსი | (15,0-1,01) | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| დორტმუნდი — რეალი | (3,5-1,2) | 1,8 | 2,9 | 4,2 |

**თასების თასი. ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩები

16 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჩელსი — ვიჩენცა | (1,5-2,0) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ლოკომოტივი — შტუტგარტი | (3,5-1,2) | 2,6 | 2,7 | 2,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.


NBA — რეგულარული ჩემპიონატი

# ვან ჰორნმა ნიუ იორკს აჯობა

10 აპრილი

### სან ანტონიო 99:84 სიეტლი

**სან ანტონიო:** ჯექსონი (31), დანკანი (28+17 მოხსნა+7 დაფარება)
**სიეტლი:** პეიტონი (20)

სან ანტონიომ ტვინშერყეული დევიდ რობინსონი მოისაკლისა, მაგრამ ტიმ დანკანის წყალობით ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია. დანკანზე უფრო შედეგიანი კი ჯარენ ჯექსონი იყო თავის კარიერაში სარეკორდო 31 ქულით.

### საკრამენტო 85:97 ჰიუსტონი

**საკრამენტო:** უილიამსონი (20)
**ჰიუსტონი:** ოლაჯუონი (24+12 მოხსნა)

### ლეიკერსი 105:114 ფინიქსი

**ლეიკერსი:** ონილი (24)
**ფინიქსი:** მაკდაიესი (37+12 მოხსნა), ჩეპმენი (27)

შაკილ ონილის ლეიკერსმა ვერაფერი მოუხერხა ანტონიო მაკდაიესს, რომელმაც 37 ქულით კარიერის რეკორდი გაიხერხა, თავის გუნდს კი ზედიზედ მეშვიდედ მოაგებინა. ამ სეზონში ეს გუნდები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ დაზავდნენ — ორჯერ ერთმა მოიგო, ორჯერ — მეორემ.

### ტორონტო 105:111 მაიამი

**ტორონტო:** კრისტი (26)
**მაიამი:** ჰარდევეი (28+12 პასი), ლენარდი (24), მურნინგი (23)

### მინესოტა 107:102 ფილადელფია

**მინესოტა:** მიტჩელი (29+11 მოხსნა), მარბერი (28), გარნეტი (26+16 მოხსნა)
**ფილადელფია:** აივერსონი (43)

მშვენივრად ითამაშა მინესოტელმა სემ მიტჩელმა. მან ტომ გულიოტას ადგილი დაიკავა (რომელიც ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს) და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. სტუმრებს ვერ უშველა ალენ აივერსონმა, ვინც, ფაქტობრივად, მარტო იბრძოდა.

### იუტა 126:109 კლიპერსი

**იუტა:** ჰორნაჩეკი (23), ეისლი (22)
**კლიპერსი:** ტეილორი (22)

### შარლოტი 87:99 ატლანტა

**შარლოტი:** რაისი (17)
**ატლანტა:** სმიტი (23)

შარლოტმა პირველი მეოთხედი 15 ქულით მოიგო, მერე კი უბრძოლველად დანებდა სტუმრებს.

### ბოსტონი 82:80 ორლანდო

**ბოსტონი:** ბაროსი (26)
**ორლანდო:** ანდერსონი (21)

ბოსტონს ახალბედა რონ მერსერმა (14 ქულა) მოაგებინა. ოვერტაიმში დროის ამოწურვამდე 14 წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო, ძირითად დროში კი თავის გუნდს 7-ქულიანი ჩამორჩენა დააძლევინა და ორლანდოს კიდევ უფრო წარუკვეთა პლეი ოფში ზედიზედ მეხუთედ მოხვედრის იმედი.

11 აპრილი

### გოლდენ სტ. 84:96 ლეიკერსი

**გოლდენ სტეიტი:** ჯექსონი (23)
**ლეიკერსი:** ონილი (35+15 მოხსნა)

ფინიქსთან მარცხნაჭამმა ლეიკერსმა და მისმა ლიდერმა ონილმა ჯავრი სანფრანცისკოელებზე იყარეს, რომელთაც პირველი ნახევარი 29 ქულის სხვაობით მოუგეს და საქმე თავიდანვე მოითავეს.

### მინესოტა 110:103 იუტა

**მინესოტა:** მარბერი (30+10 პასი), გარნეტი (22)
**იუტა:** მელოუნი (37+12 მოხსნა)

ფილადელფიას ძლევის შემდეგ მინესოტამ ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იუტა იმსხვერპლა. მატჩის გმირი ამჯერად სტივენ მარბერი გახლდათ, ვინაც ოთხიდან ოთხივე სამქულიანი ჩააგდო და ბოლო მეოთხედში 5-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ გუნდს გამარჯვება მოუტანა.

### დალასი 99:81 დენვერი

**დალასი:** ბრედლი (18+14 მოხსნა)
**დენვერი:** ფორსტონი (16)

### ჩიკაგო 87:78 ორლანდო

**ჩიკაგო:** ჯორდანი (37)
**ორლანდო:** ანდერსონი (21)

### კლივლენდი 106:95 ფილადელფია

**კლივლენდი:** პერსონი (25), ნაითი (20+14 მოხსნა)
**ფილადელფია:** აივერსონი (32)

ალენ აივერსონის კარგი თამაში არც კლივლენდთან აღმოჩნდა საკმარისი და ფილადელფიამ ორ დღეში ორი მარცხი იწვნია. არადა, პირველ ნახევარში 20 ქულით იყო წინ, მაგრამ უესლი პერსონმა 7 სამქულიანი ჩააგდო და თავის გუნდს ოთხი თამაშით ადრე დაუბევა პლეი ოფი.

### ვანკუვერი 105:96 პორტლენდი

**ვანკუვერი:** აბდურ რაჰიმი (31), ედვარდსი (27)
**პორტლენდი:** რაიდერი (26), უოლესი (22+16 მოხსნა)

უსაბონისო პორტლენდმა მატჩის დასაწყისი და შუაწელი უხეიროდ ჩაატარა და შეცდომების გასწორება ბოლო მეოთხედში მოუხდა. აქ სტუმრებმა 10-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ შეძლეს მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა. დამატებით დროში კი ვერაფერი მოუხერხეს შარიფ აბდურ-რაჰიმსა და ტონი მასენბურგს.

12 აპრილი

### ვანკუვერი 106:129 ფინიქსი

**ვანკუვერი:** დანიელსი (23)
**ფინიქსი:** მაკლაუდი (25), მაკდაიესი (23), ჩეპმენი (21)

### ბოსტონი 87:93 ინდიანა

**ბოსტონი:** მერსერი (18)
**ინდიანა:** ა. დევისი (28+10 მოხსნა)

### ტორონტო 109:116 ნიუ ჯერსი

**ტორონტო:** ბრაუნი (30)
**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (33), კასელი (27+11 პასი)

ნიუ ჯერსის ახალბედა კიტ ვან ჰორნმა 33 ქულით კარიერის რეკორდი დაიმყარა და სემ კასელთან ერთად თავის გუნდს ზედიზედ მეხუთედ მოაგებინა. ამით ნიუ ჯერსიმ მეზობელ ნიუ იორკს გადაასწრო და აღმოსავლეთში მეშვიდე ადგილზე აინაცვლა.

### ვაშინგტონი 81:91 ატლანტა

**ვაშინგტონი:** უებერი (19)
**ატლანტა:** სმიტი (18)

### სიეტლი 103:95 ჰიუსტონი

**სიეტლი:** ჰოკინსი (20)
**ჰიუსტონი:** უილისი (28), დრექსლერი (25)

სიეტლს მოაგებინა ჰერსი ჰოკინსმა, რომელმაც ოციდან 16 ქულა ბოლო ექვს წუთში ჩააგდო. თუ სიეტლმა მოახერხა და დასავლეთში პირველობისთვის ბრძოლაში იუტა ჯაზს აჯობა, ეს გუნდები პლეი ოფის პირველ წრეში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან.

### შარლოტი 88:86 დეტროიტი

**შარლოტი:** მეისონი (29+14 მოხსნა)
**დეტროიტი:** დუმარსი (20)

### მაიამი 82:81 ნიუ იორკი

**მაიამი:** მურნინგი (22+13 მოხსნა), ჰარდევეი (21)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (21)

ეს გუნდები ერთმანეთს ოთხშაბათსაც შეხვდნენ. მაშინ 82:80 გამარჯვება ნიუ იორკს დარჩა და ახლაც შეეძლო მოგება, მაგრამ ტიმ ჰარდევეიმ არ აცალა. 1,35 წუთით ადრე ნიუიორკელი ჩილდსის (10 ქულა) სამქულიანის შემდეგ სტუმრები 81:78 გავიდნენ წინ, მაგრამ ჰარდევეიმ ორი ორქულიანი ჩააგდო. 4,4 წამით ადრე კი ნიუიორკელმა ალან ჰიუსტონმა სამქულიანი ააცილა.

**ირაკლი ფირაშვილი**

ალმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო* | 60 | 18 | 76,9 |
| ინდიანა* | 55 | 23 | 70,5 |
| მაიამი* | 55 | 24 | 69,6 |
| შარლოტი* | 48 | 30 | 61,5 |
| ატლანტა* | 47 | 31 | 60,3 |
| კლივლენდი* | 45 | 33 | 57,7 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 36 | 53,8 |
| ნიუ იორკი | 42 | 37 | 53,3 |
| ორლანდო | 39 | 40 | 49,4 |
| ვაშინგტონი | 38 | 40 | 48,7 |
| მილუოკი | 35 | 43 | 44,9 |
| ბოსტონი | 35 | 43 | 44,9 |
| დეტროიტი | 35 | 44 | 44,3 |
| ფილადელფია | 30 | 49 | 38,0 |
| ტორონტო | 15 | 63 | 19,2 |

დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| იუტა* | 59 | 19 | 75,6 |
| სიეტლი* | 59 | 20 | 74,7 |
| ლეიკერსი* | 57 | 21 | 73,1 |
| ფინიქსი* | 53 | 25 | 67,9 |
| სან ანტონიო* | 53 | 25 | 67,9 |
| პორტლენდი* | 44 | 34 | 56,4 |
| მინესოტა* | 42 | 36 | 53,8 |
| ჰიუსტონი* | 40 | 39 | 50,6 |
| საკრამენტო | 27 | 51 | 34,6 |
| დალასი | 20 | 59 | 25,3 |
| ვანკუვერი | 18 | 60 | 23,1 |
| კლიპერსი | 16 | 62 | 20,5 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 62 | 20,5 |
| დენვერი | 10 | 68 | 12,8 |

* გავიდნენ პლეი ოფში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ქართული სიტყვა




ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

# მაკლარენი შეაჩერეს



არგენტინაში ფერარი და შუმი საუკეთესონი იყვნენ

შუმიმ სიტყვა შეასრულა, „მაკლარენებს“ მიუახლოვდა და პირველობისთვის ბრძოლა გაუმართა: კულჰარდს „ფეხი დაუდო“, ამან კი წაიფორხილა და ლიდერობა გერმანელს დარჩა. შემდეგ იყო საათნახევრიანი მომქანცველი, დაძაბული რბოლა, 28-ე გამარჯვება, „ფერარის“ დროშების ზღვა და შამპანური.

ეს კვირას მოხდა. მანამდე კი, პარასკევისა და შაბათის დილის ვარჯიში პილოტებმა სველ, ოდნავ შემშრალ ტრასაზე ჩაატარეს. პარასკევს კულჰარდი იყო საუკეთესო, შაბათს კი შუმახერი. მიხაელმა დაამტკიცა, რომ „ფერარი“ შესანიშნავად მოემზადა „არგენტინის დიდი პრიზისთვის“.

საკვალიფიკაციო რბოლისთვის ტრასა სრულიად გაშრა. პირველები ტრასაზე ტუერო (მინარდი) და რალფ შუმახერი გამოჩნდნენ. საუკეთესო რალფი იყო. მალე ტრასაზე ჰაკინენიც გამოჩნდა და კიდევ უფრო შეამცირა წრის გავლის დრო, თუმც კი მერე შუმის გადაულოცა პირველობა. ხუთიოდე წუთის შემდეგ კი გერმანელმა კვლავ გააუმჯობესა თავისი დრო და წრე 1.26,251 გაიარა. შემდეგ კულჰარდის ჯერი დადგა და შოტლანდიელმაც საუკეთესო დრო 1.25,852 აჩვენა. ამის მერე პილოტები დაწყნარდნენ და მხოლოდ კვალიფიკაციის მიწურულს სცადეს შედეგების გაუმჯობესება. ფინიშამდე ხუთი წუთით ადრე ფრენცენი გამოვიდა ტრასაზე, შემდეგ ვილნევი, მაგრამ ორივეს ხელი მოეცარა. კვალიფიკაციის დასასრულამდე ორი წუთით ადრე კი შუმი და „მაკლარენის“ ორივე პილოტიც გამოჩნდნენ, მაგრამ ვერც მათ შეძლეს უკეთესი დროის ჩვენება და კულჰარდმა თავის კარიერაში მე-6 პოული მოიპოვა. „მაკლარენისთვის“ ეს 83-ე, წლეულს კი ზედიზედ მესამე სასტარტო პოზიცია გახლდათ.

რბოლა მშრალ, გრილ ამინდში დაიწყო. პირველი კულჰარდი დაიძრა, მას ჰაკინენი მიჰყვა. ვილნევმა მოახერხა მეოთხე პოზიციაზე გაძრომა, მაგრამ მალევე ფრენცენსა და ირვინს ჩამორჩა. რალფ შუმახერი მე-10 პოზიციამდე ჩამოქვეითდა, ალეზიმ კი კვლავ შესანიშნავი სასტარტო რეაქცია გამოავლინა და მე-11-დან მე-7-ზე აინაცვლა. პირველი წრის ბატალიები ამით არ დასრულებულა. შუმიმ ჰაკინენს გაასწრო და კულჰარდს შეუტია, ირვინმა და ვილნევმა კი ფრენცენი ჩამოიტოვეს. რამდენიმე წრის შემდეგ კი „ჰა-ჰა“ ჟან ალეზის უკანაც აღმოჩნდა. მეოთხე წრეზე შუმიმ გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო და კულჰარდის ბოლიდსა და ტრასის კიდეს შორის შეჰყო ცხვირი. „მაკლარენის“ და „ფერარის“ ტრაექტორიები გადაიკვეთა. ვერცხლისფერმა ბოლიდმა ერთი შეიკუნტრუშა და დაბზრიალდა, გერმანელმა პირველ ადგილზე ამოჰყო თავი, თუმცა საკითხავი იყო — რამდენად კორექტული იყო ეს მანევრი? განაცხადებდა თუ არა პროტესტს „მაკლარენის“ ხელმძღვანელობა? რბოლა კი გრძელდებოდა. კულჰარდი მეექვსეზე აღმოჩნდა და კარგა ხანს ფრთხილობდა კიდეც, ამოწმებდა, წესრიგში იყო თუ არა მისი ბოლიდი ამ კოლიზიის შემდეგ. გალიდერებული შუმი კი ნელ-ნელა შორდებოდა მდევარს და მე-5 წრეზე 5,4 წამს უგებდა ჰაკინენს. მეოთხეზე მყოფ ვილნევს ალეზი უტევდა და ორივე ერთად ირვინს უახლოვდებოდა. ამასობაში ლიდერი ჩამორჩენილებს წამოეწია, ტუერო და ნაკანო ერთი წრით ჩამოიტოვა. რალფ შუმახერმა მარცხენა მოსახვევში ბოლიდი ვერ დაიმორჩილა, ბალახში გაისეირნა და ისიც საკუთარმა ძმამ იმსხვერპლა, რომელსაც 1 წრით ჩამორჩა. რბოლას პირველი დინიცი გამოეთიშა, მას მაგნუსენი და სალო მიჰყვნენ. რამდენიმე წრის შემდეგ რალფს ამჯერად მარჯვენა მოსახვევში უმტყუნა ბოლიდმა და ისიც მაყურებლებს შეუერთდა, მისი უფროსი ძმა კი ზედიზედ გადიოდა სწრაფ წრეებს და მალე ჰაკინენს 11 წამითაც გაუსწრო. გერმანელი 27-ე წრემდე ლიდერობდა, შემდეგ კი ბოქსებში შეუხვია და ლიდერობა ფინელს გადაულოცა, თუმცა ტრასას მეორე პოზიციაზე 10-წამიანი ჩამორჩენით დაუბრუნდა. ფინელი უკეთეს მდგომარეობაში იყო — იგი ერთ პიტსტოპს გეგმავდა, შუმის კი მეორედაც უნდა შეეცვალა საბურავები. ამ წყვილის უკან ვილნევი და კულჰარდი იბრძოდნენ მესამე პოზიციისთვის. კულჰარდმა რამდენიმე მოსახვევში სცადა გასწრება, ვილნევმა არ დაუთმო და ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ ცოტა ხანში შოტლანდიელმა მაინც იმარჯვა და ჟაკის წინ აღმოჩნდა. თუმც არც ამან შეარჩინა და მალევე დაიბრუნა პოზიცია. ბოქსებში შეცვლის შემდეგ ორივენი „ზაუბერის“ წყვილის უკან აღმოჩნდნენ და კვლავ გააგრძელეს პაექრობა. ფინიშამდე 30-წრით ადრე საწვავი შეივსო ჰაკინენმაც, რომელიც პირველი პოზიციიდან შუმახერმა განდევნა.

47-ე წრეზე ჰილმა ჰერბერტის გასწრება სცადა, მაგრამ თავისი „ყვითელი კრაზანის“ ცხვირი თანამემამულის მარცხენა უკანა საბურავს შეალეწა და დაზიანებული ნაწილის შესაცვლელად ბოქსებში შევიდა. ჰერბერტი კი სამი ბორბლით ცდილობდა მექანიკოსებამდე მიღწევას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. 53-ე წრეზე კულჰარდმა კიდევ ერთხელ სცადა ვილნევის გასწრება, მანქანები ერთმანეთს წამოედნენ და ტრასის მიღმა აღმოჩნდნენ. ვილნევმა აქვე დაასრულა თავისი 35-ე რბოლა, კულჰარდმა კი გააგრძელა ასპარეზობა.

ამასობაში შუმახერს მეორეჯერაც მოუწია ბოქსებში შესვლამ. იქ დიდხანს არ შეყოვნებულა, კვლავ პირველ პოზიციაზე, ჰაკინენის წინ დაბრუნდა და ნელ-ნელა დაშორდა კიდეც მას. მესამეზე მყოფ ირვინს კი თანდათან ვურცი ეწეოდა, რომელმაც წრის რეკორდიც დაამყარა და მთელი 1 წამითაც სწრაფი გახლდათ ირლანდიელზე. ახალგაზრდა ავსტრიელმა რამდენჯერმე სცადა „ფერარის“ პილოტის ჩამოტოვება, მაგრამ ჯიუტი ედი არ თმობდა და ერთ-ერთ მოსახვევში მეტოქეები ოდნავ წამოედნენ კიდეც ერთმანეთს, თუმცა პაექრობა გააგრძელეს. ვურცის შეტევებმა შედეგიც გამოიღო — მარჯვენა მოსახვევში შესვლისას ირვინმა შეცდომა დაუშვა, ფართოდ შევიდა მოსახვევში და ავსტრიელმაც არ დააყოვნა, იგი ჩამოიტოვა. თუმცა კი ამ წარმატებით დიდხანს ვერ დატკბა, მის წინ, მოსახვევში შესვლისას ტაკაგიმ მკვეთრად დაამუხრუჭა და ვურცსაც იგივე დღე დაადგა — მოცურდა და მესამე პოზიცია კვლავ ირვინს ჩააბარა. ამის შემდეგ რბოლაში ყველაზე სერიოზული ავარია მოხდა. ახალგაზრდა ტუერომ მარჯვენა მოსახვევში ვერ დაიმორჩილა თავისი „მინარდი“ და ბოლიდის უკანა ნაწილით ბარიერს შეეჯახა, საბედნიეროდ, არაფერი დაშავებია. მსაჯებმა ყვითელი ალმები აღმართეს, რითაც შუმახერმა ისარგებლა და დაწინაურდა, ჰაკინენი კი ჩამორჩენილების უკან აღმოჩნდა. შუმიმ ერთი შეცდომა მაინც დაუშვა — მარჯვენა მოსახვევში შესვლისას მოცურდა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ტრასას კვლავ დაუბრუნდა, მის პოზიციასაც არაფერი დამუქრებია, საიმედოდ იყო დაცული ყვითელი ალმებით. 5 წრით ადრე იგი 4 წამს იგებდა, ერთი წრის შემდეგ კი უპირატესობა 11 წამამდე გაზარდა. შუმის დარად, ფიზიკელამ და კულჰარდმაც მოინდომეს ტრასის მიღმა ბალახის „კრეჭა“, არც მათ დაშავებიათ რამე და ორივემ ჩასათვლელ პოზიციებზე დაასრულა რბოლა, შუმახერმა კი პირველმა, ჰაკინენზე 22 წამით ადრე გადაკვეთა ფინიშის ხაზი და „ფერარის“ 114-ე გამარჯვება მოუტანა.

ასე დასრულდა ეს საინტერესო რბოლა, რომელმაც დაგვანახა, რომ „მაკლარენს“ სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა „ფერარის“ სახით, „ბენეტონიც“ მომძლავრდა, „უილიამსს“ კი ჯერ კიდევ პრობლემები აქვს. თუმცა კი ვილნევი მაინც ახერხებდა მეტოქეებთან თანაბრად პაექრობას და კულჰარდთან შეჯახება რომ არა, ჩასათვლელ ქულასაც მიიღებდა.

**ალეკო ბაგუკიანი**

## მიხაელ შუმახერი



დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს, კერპენში (გერმანია)

ცხოვრობს შვეიცარიაში

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, ჯორდანი

105 რბოლა, 28 გამარჯვება, 17 პოული, 25 სწრაფი წრე, 454 ქულა

მსოფლიოს ჩემპიონი 1995 და 1996 წლებში

არგენტინაში შუმიმ 28-ედ გაიმარჯვა, გამარჯვებულთა საერთო ნუსხაში ჯეკი სტიუარტს გაასწრო და მეოთხე ადგილი დაისაკუთრა. მის წინ, მესამეზე მყოფ მენსელს 3-ით მეტჯერ გაუმარჯვია.

დასანანია, რომ პილოტის ეს გამარჯვებაც პირველ წრეებზე მომხდარ კოლიზიას მოჰყვა. თუმც თავად შუმახერი თვლის, რომ ეს ჩვეულებრივი, რბოლისთვის დამახასიათებელი შეჯახება იყო.

კვირას შუმიმ „მაკლარენის“ გამარჯვებების სერია შეწყვიტა და ჩემპიონატს ინტრიგა შემატა.

## ფორმულა 1
## III ეტაპი
## არგენტინის დიდი პრიზი

### რბოლის შედეგები

12 აპრილი. ბუენოს აირესი. „ოსკარ გალვესის“ ტრასა

დისტანცია — 72 წრე — 306.535 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:48.36,175 (169,304 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) ჩამორჩა 22,899 წმ-ით 6
3. ირვინი (ფერარი) 57,745 წმ-ით 4
4. ვურცი (ბენეტონ-მეკაქრომი) 1,08,134 წთ-ით . 3
5. ალეზი (ზაუბერი) 1.18,286 წთ-ით 2
6. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1,19,751 წთ-ით 1
7. ფიზიკელა (ბენეტონ-მეკაქრომი) 1,28,438 წთ-ით
8. ჰილი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 1 წრით
9. ფრენცენი (უილიამს-მეგაქრომი) 1 წრით
10. ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 2 წრით
11. ტრული (პროსტ-პეჟო) 2 წრით
12. ტაკაგი (ტირელ-ფორდი) 2 წრით
13. ნაკანო (მინარდი-ფორდი) 3 წრით
14. როსეტი (ტირელ-ფორდი) 4 წრით
15. პანი (პროსტ-პეჟო) 7 წრით

### საუკეთესო წრე

ვურცი (ბენეტონ-მეკაქრომი) (1.28,179; 173,878 კმ/სთ. 39-ე წრე)

### ლიდერები

1-4 წრე — კულჰარდი; 5-27 — შუმახერი; 27-41 — ჰაკინენი; 42-72 — შუმახერი

### რბოლას გამოეთიშნენ

ტუერო (მინარდი-ფორდი) გაიარა 63 წრე
ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 52
ჰერბერტი (ზაუბერი) 46
რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 22
სალო (ეროუსი) 18
მაგნუსენი (სტუარტ-ფორდი) 17
დინიცი (ეროუსი) 13

## განლაგება სტარტზე

19 მაგნუსენი 1.31,178 სტიუარტი
20 როსეტი 1.30,437 ტირელი
23 ტუერო 1.30,158 მინარდი
22 ნაკანო 1.30,054 მინარდი
16 დინიცი 1.30,022 ეროუსი
17 სალო 1.29,617 ეროუსი
12 ტრული 1.29,352 პროსტი
11 პანი 1.29,320 პროსტი
18 ბარიჩელო 1.29,249 სტიუარტი
21 ტაკაგი 1.28,811 ტირელი
15 ჰერბერტი 1.28,016 ზაუ ბერი
14 ალეზი 1.27,839 ზაუ ბერი
5 ფიზიკელა 1.27,836 ბენეტონი
9 ჰილი 1.27,483 ჯორდანი
6 ვურცი 1.27,198 ბენეტონი
1 ვილნევი 1.26,941 უილიამსი
2 ფრენცენი 1.26,876 უილიამსი
10 რ. შუმახერი 1.26,827 ჯორდანი
4 ირვინი 1.26,780 ფერარი
8 ჰაკინენი 1.26,632 მაკლარენი
3 მ. შუმახერი 1.26,251 ფერარი
7 კულჰარდი 1.25,852 მაკლარენი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| # | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი, 16:00 | ესპანეთი 10 მაისი, 16:00 | მონაკო 24 მაისი, 16:30 | კანადა 7 ივნისი, 21:00 | საფრანგეთი 28 ივნისი, 16:00 | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი, 17:00 | ავსტრია 26 ივლისი, 16:00 | გერმანია 2 აგვისტო, 16:00 | უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00 | ბელგია 30 აგვისტო, 16:00 | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰაკინენი (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 2 | მ. შუმახერი (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | | | | | | | | | | | | | | 14 |
| 3 | კულჰარდი (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | | | | | | | | | | | | | | 13 |
| 4 | ირვინი (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | ფრენცენი (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 6 | ვურცი (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 7 | ვილნევი (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 8 | ალეზი (საფრანგეთი) ზაუბერი | – | – | 2 | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 9 | ჰერბერტი (ბრიტანეთი) ზაუბერი | 1 | – | – | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 10 | ფიზიკელა (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | | | | | | | | | | | | | | 39 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | | | | | | | | | | | | | | 21 |
| 3 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 4 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | ზაუბერი | 1 | – | 2 | | | | | | | | | | | | | | 3 |

შენიშვნა: სტარტი ჩვენი დროით

რეგულარული ჩემპიონატი

# გამსვლელები გადიან

10 აპრილი. ბუფალო — მონრეალი 2:1
11 აპრილი. ბოსტონი — ნიუ ჯერსი 2:3, პიტსბურგი — ფლორიდა 3:3, ოტავა — ბუფალო 4:4, მონრეალი — აილენდერსი 3:3, ფილადელფია — ვაშინგტონი 4:3, ტამპა — დალასი 1:5, ტორონტო — კაროლინა 5:1, დეტროიტი — რეინჯერსი 5:2, სენტ ლუისი — ფინიქსი 3:4, კალგარი — ედმონტონი 4:5, სან ხოსე — ვანკუვერი 1:1, ლოს ანჯელესი — კოლორადო 4:3.
12 აპრილი. ჩიკაგო — ფინიქსი 1:2, დალასი — სენტ ლუისი 4:3, ფლორიდა — ნიუ ჯერსი 5:5.



ჩიკაგო — ფინიქსი. ჩიკაგოელმა კრის ჩელიოსმა ფინიქსელი ტეპო ნუმინენი დასცა

უქმეებმა კიდევ ოთხი სათასო გუნდი გამოავლინა და ახლა დარჩენილი სამი საგზურისთვის გაჩაღდება ბრძოლა.

როგორც მოსალოდნელი იყო, პლეი ოფში გაალწია აღმოსავლეთის სამმა წარმომადგენელმა — ბუფალომ, მონრეალმა და ვაშინგტონმა. ბუფალოელებმა ოდეტისა (23) და ბრაუნის (10) ძალისხმევით მონრეალთან მოპოვებულ გამარჯვებას კინაღამ პლეი ოფში გასასვლელად მებრძოლ ოტავასთან დამარცხება მიაყოლეს.

ოტაველებს მაინც გაუღიმათ ბედმა — მათ სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა ტორონტომ, რომელმაც მოულოდნელად გაანადგურა „სენატორთა“ კონკურენტი კაროლინა და ამის შემდეგ გუნდებს შორის სხვაობა 3 ქულამდე გაიზარდა. „ქარიშხლებს“ მხოლოდ ის ამართლებს, რომ 11 დღეში 6-დან 5 თამაში სტუმრად ჩაატარეს.

რაც შეეხება მესამე იღბლიან გუნდს — ვაშინგტონს, მას არც მოსალოდნელ საპლეიოფო მეტოქესთან, ფილადელფიასთან მარცხმა შეუშალა ხელი საგზურის მოპოვებაში. დედაქალაქელებს არ ჰყავდათ სნაიპერი პეტერ ბონდრა, რითაც ისარგებლა „მფრინავმა“ ლეკლერმა და მორიგი 49-ე გოლით მეორე ადგილზე ალზევდა ბომბარდირთა დავაში.

მეოთხე ფინალისტი კი დასავლეთის წარმომადგენელი ფინიქსია. „კოიოტებმა“ საკმაოდ ღვარეს ოფლი თასისთვის ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად. ჯერ იყო და, სენტ ლუისთან უმძიმეს პაექრობაში მათ რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნეს მინიმალური უპირატესობა, მეორე დღეს კი ჩიკაგოში ფინიქსელებს ბოლოდროინდელი უიღბლობით გამწარებული „ქორები“ ელოდნენ. შურისძიების წყურვილმა თავისი ქნა: ორი წლის წინ ჯერემი რენიკი ჩიკაგოდან ფინიქსში გაყიდეს, მის ნაცვლად კი „ქორების“ შეტევებს რუსი ჟამნოვი გაუძღვა. ახალ კლუბში არც ერთს არ წაუვიდა თამაში, მაგრამ 12 აპრილს ექს-ჩიკაგოელმა თითქმის მარტომ გახადა საეჭვო მასპინძელთა ყველა საპლეიოფო იმედი. ზედიზედ 28 წლის განმავლობაში პლეი ოფში მონაწილე ჩიკაგოს (ლიგის რეკორდია) ფინალურ რვეულში მოხვედრის შანსები მინიმუმამდე შეუმცირდა და რაკი მისმა კონკურენტებმა, ედმონტონმა და სან ხოსემ ქულები მიიმატეს, დარჩენილ 3 მატჩში „ქორებს“ სამქულიანი დეფიციტის შევსება მართებთ.

ედმონტონმა კალგარიდან მეტად მნიშვნელოვანი ორი ქულა წაიღო შინ. ამასობაში კი უმკაცრესი ბრძოლა მიმდინარეობს ჩემპიონატში პირველობისთვის, რაც, მოგეხსენებათ, პლეი ოფში „საკუთარი მოედნის“ უპირატესობას იძლევა (გამარჯვებული გუნდი 7-მატჩიან სერიაში ოთხს შინ ჩაატარებს). უქმეებზე საამისო პრეტენზია ყველაზე მეტად დალასმა განაცხადა, რომელმაც ორივე მატჩი მოიგო. ლიდერს აუტსაიდერ ტამპასთან სრულიადაც არ გასჭირვებია, ასეთი იოლი გასეირნებით წახალისებულმა „ვარსკვლავებმა“ ტამპას სენტ ლუისიც მიაყოლეს, თუმცა ახლა მეტმა გარჯამ მოუწიათ. ამ მოგებით დალასს 105 ქულა დაუგროვდა და ჩემპიონატის ლიდერი გახდა.

ნიუ ჯერსიმ ერთი ქულა დაკარგა ფლორიდასთან შეხვედრაში, რაც, შესაძლოა, ბოლოს ძვირად დაუჯდეს. თუმცა „ეშმაკებს“ ძალიან უნდა ახარებდეთ ის, რომ ფარმ-კლუბიდან გამოძახებულმა ბრენდან მორისონმა საუცხოოდ შეცვალა დაშავებული პლეიმეიკერი დუგ გილმორი, რომლის დაბრუნებამ ახალბედა მორისონი, შესაძლოა, არც კი განდევნოს ძირითადი შემადგენლობიდან.

ლიდერთა შორის მყოფ დეტროიტს ოდნავადაც არ გასჭირვებია დაჩაჩანაკებულ რეინჯერსთან ზედიზედ მე-6 გამარჯვების მოპოვება. ამ მატჩში სერგეი ფიოდოროვი (1+1,6) კვლავ ჩვეულ ამპლუაში — ცენტრფორვარდად მოგვევლინა.

მეტად გასაკვირია კოლორადოს ბოლოდროინდელი წარუმატებლობა. „ევალანშს“ ვერც ფორსბერგის (1 პასი) დაბრუნებამ უშველა, მის დაცვაში კი წარმოუდგენელი ამბები ხდება — ლოს ანჯელესში სტუმრებმა 3 შაიბა გაუშვეს რიცხვმრავლობაში!

**სამველ ლარიბიანი**


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია
Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840

e-mail dato@acacia.postnet.ge




# მარის უნდოდა



პირსი მესამე ფეხითაც თამაშობს

ამელია აილენდი. აშშ.
Bausch & Lomb-ის პირველობა.
ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 450 000 $

**მეოთხედფინალი: ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ანა კურნიკოვა (8, რუსეთი) 7:5, 6:3; მარი პირსი (4, საფრანგეთი) — ივა მაიოლი (5, ხორვატია) 6:3, 6:1; კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) — ლაიზა რეიმონდი (10, აშშ) 6:4, 7:5; ამანდა კუტცერი (2, სამხრეთ აფრიკა) — ტარა სნაიდერი (აშშ) 6:4, 6:2**

როდესაც 16 წლის ანა კურნიკოვამ ლიპტონის ჩემპიონატზე ზედიზედ ოთხი საუკეთესო ათეულელის დამარცხების შემდეგ საჯაროდ განაცხადა, ვეტერანთა დრო წასულია, ამიერიდან ახალი თაობა იბატონებსო, მისი ნათქვამი ბევრს მწარედ მოხვდა გულზე. „არა მგონია, ამის შემდეგ ანასთან წაგება რომელიმე ჩოგბურთელს გაუხარდეს. კოლეგების ჩემს მხარეზე ყოფნამ მასთან სათამაშოდ დამატებითი სტიმული შემმატა, არ მინდოდა, მათთვის იმედი გამეცრუებინა“ — გაანდო ჟურნალისტებს ფერხორციანმა ლინდსი დევენპორტმა, რომელმაც სეზონის მეორე სათიხნარო ტურნირის მეოთხედფინალში ლიპტონური მარცხისთვის თავხედ ახალბედაზე შურისძიება მართლაც მოახერხა, რაც საკუთარ აგრესიულობასა და ძალისმიერ თამაშს მიაწერა. თუმცა თაობათა ბრძოლა ამით არ დამთავრებულა: კურნიკოვამ მატჩის შემდეგ განაცხადა, დევენპორტს ყველაზე ძლიერი დარტყმები სულაც არა აქვს, 16 წლის ხორვატი მირიანა ლუჩიჩისა სჯობსო. 1,88 მეტრი სიმაღლის 80-კილოგრამიან ლინდსის კურნიკოვას ნათქვამისთვის კომენტარის გაკეთება არ დაზარებია, არა უშავს, ჯერ პატარაა, მალე დალვინდება და სისულელეების ლაპარაკს და საკუთარ იმიჯზე ნერვიულობას თავს დაანებებსო.

სხვა მეოთხედფინალებს რაც შეეხება, როლან გაროსის ჩემპიონმა ივა მაიოლიმ მარი პირსსა და საკუთარ ბრონქიტს ვერაფერი მოუხერხა, კონჩიტა მარტინესმა და ამანდა კუტცერმა კი ტურნირი ადგილობრივთა გარეშე დატოვეს.

**ნახევარფინალი: პირსი — დევენპორტი 4:6, 6:3, 6:3; მარტინესი — კუტცერი 6:4, 6:0.**

ამ მატჩამდე მარი პირსს ლინდსი დევენპორტთან ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჰქონდა წაგებული, მაგრამ ამჯერად ფრანგმა იცოდა, ფონს რითი გავიდოდა: „ადრე ლინდსისთან მატჩებში გათამაშებათა მსვლელობას რომ ვერ ვაკონტროლებდი, შიში მიპყრობდა, არ ვიცოდი, რა მექნა. არადა, მის მსგავს მოთამაშეებთან მთავარია, წინასწარი გეგმა გქონდეს და მას არასოდეს გადაუხვიო“. პირსმა მატჩის დასაწყისიდან ბოლომდე აგრესიულად, ბადესთან ხშირი გასვლებით ითამაშა და პირველი სეტის წაგების მიუხედავად მსოფლიოს მეორე ჩოგნისთვის უპირატესობა არც ერთხელ გადაულოცია, ერთხელ კი მაყურებლებიცა და საკუთარი თავიც ფეხებს შორიდან დარტყმული ბურთით მეტად გაახალისა.

კონჩიტა მარტინესი მსოფლიოს მეცხრე ჩოგანია, ამანდა კუტცერი — მეოთხე, მაგრამ მატჩის ბედი თითქოს წინასწარ იყო გადაწყვეტილი ესპანელის სასარგებლოდ — იგი სამხრეთაფრიკელს პირად შეხვედრებში 11:1-ს უგებდა: „გონებაში ჩვენი თამაშების ისტორია მქონდა ჩაჭედილი და ვერაფრით მოვიფიქრე, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა ნავსის გასატეხად“ — თავი იმართლა ჩია ამანდამ.

**ფინალი: პირსი — მარტინესი 6:7 (8:10), 6:0, 6:2**

„როგორც იქნა“ — ასეთი იყო მარი პირსის პირველი სიტყვები გამარჯვების შემდეგ. „როგორც იქნა“ იმიტომ, რომ წლეულს მარი ამელია აილენდის ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდა, მაგრამ აქამდე მთავარი პრიზი ხელში მის ნაცვლად 96-ში ირინა სპირლეას, 97-ში კი ლინდსი დევენპორტს ეჭირა. შარშან გამწარებულმა ფრანგმა ფინალის შემდეგ დაიქადნა კიდეც, გაისად აუცილებლად გავიმარჯვებ და სიტყვის პატრონიც აღმოჩნდა.

პირსმა პირველი სეტი მეტოქეს საკუთარი ინიციატივით გადაულოცა — ტაი-ბრეიკზე ორი იოლი სმეში ბადეს ვერ გადააცილა, მაგრამ მეორე ხელის დასაწყისიდან მარტინესი სასტიკად შეავიწროვა, ზედიზედ რვა გეიმი მოუგო და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ფრანგმა კარიერის მეათე ტიტულის მოპოვებით 79 ათასი დოლარი ჩაიჯიბა და კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა.

მადრასი. ინდოეთი.
Gold Flake-ის პირველობა.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 425 000 $

**მეოთხედფინალი: პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) 7:6 (7:3), 0:6, 7:5; ტოდ ვუდბრიჯი (2, ავსტრალია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:4, 6:4; მიქაელ ტილსტრომი (5, შვედეთი) — მარკ ვუდფორდი (3, ავსტრალია) 6:3, 2:6, 7:6 (7:3); ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — ჟერარ სოლვი (საფრანგეთი) 6:7 (4:7), 6:4, 7:5**

მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა პატრიკ რაფტერმა დევისის თასზე თავისიანთა დალუპვას (ზიმბაბვესთან პირველი მატჩი წააგო, მეორეში ვერ ითამაშა) კინაღამ კიდევ ერთი სამარცხვინო მარცხი მიაყოლა, ამჯერად ყველასთვის უცნობ გერმანელ ლარს ბურგსმიულერთან, მაგრამ ავსტრალიელი ფიასკოსგან საკუთარმა ღირსების გრძნობამ და... თავად მეტოქემ გადაარჩინა. საქმე იმაშია, რომ ჩოგბურთის დაუწერელი წესების მიხედვით, ბადეზე მიკარებით, ან ბურთის შემთხვევით ასხლეტით მოგებული ქულისთვის დაზარალებულს ხელის აწევით ბოდიშს უხდიან, ბურგსმიულერი კი გამოუცდელობის, დაძაბულობის თუ კანონებისადმი დაუმორჩილებლობის პრინციპიდან გამომდინარე, დაუმსახურებლად მითვლილი ბურთებით უკმაყოფილო სულაც არ ჩანდა, რამაც რაფტერი წყობიდან გამოიყვანა: „ეტიკეტის უპატივცემულობამ სასტიკად გამაბრაზა და მესამე სეტში მთელი სული და გული ჩავაქსოვე. ასე ემოციურად დიდი ხანია, არ მითამაშია“. ოზმა მშრალზე წაგებული მეორე ხელის შემდეგ გრიპისგან შემორჩენილი დაღლა არად დაიტყო და ორსაათნახევრიან ბრძოლას შესანიშნავი აბრაგნით დაუსვა წერტილი.

**ნახევარფინალი: რაფტერი — პაესი 6:3, 7:6 (7:5), ტილსტრომი — ვუდბრიჯი 6:2, 6:2**

**ფინალი: რაფტერი — ტილსტრომი 6:3, 6:4**

ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა მიქაელ ტილსტრომმა ფინალამდე ოზი „ვუდების“ წყვილი ცალ-ცალკე დაჯაბნა, მაგრამ ზედიზედ მესამე ავსტრალიელის დამარცხება ვერ მოახერხა — პატრიკ რაფტერმა ამერიკის ღია პირველობის შემდეგ პირველი, სულ კი ოდენ მესამე ტიტული მიითვალა. რაფტერს, რომელმაც შარშან ექვსი გადამწყვეტი მატჩი წააგო, ფინალების კომპლექსის დაძლევა კი გაუხარდა, მაგრამ ეს გამარჯვება დევისის თასზე ფიასკოდან ერთი კვირის შემდეგ ღალატის დარად შერაცხა, უშნოდ გამოვიდა — იქ თამაში არ შემეძლო, აქ კი ერთბაშად ჩემპიონი გავხდი, ეს ამ გამარჯვებას წონას უკლებსო. ტილსტრომმა კი, რომელიც ამ ტურნირის გარდა ფინალში არსად ყოფილა, მადრასში სახლის ყიდვის სურვილი გამოთქვა, ამ ქალაქში ყველაფერში გამიმართლებსო.

ეშტორილის ღია პირველობა.
პორტუგალია. ტარდება თიხნარზე.
საპრიზო 625 000 $

**მეოთხედფინალი: ქარიმ ალამი (მაროკო) — ფელიქს მანტია (1, ესპანეთი) 3:6 (7:5), 6:1; ტომას მუსტერი (6, ავსტრია) — ალბერტ კოსტა (4, ესპანეთი) 6:4, 6:4; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:2; ალბერტო ბერასატეგი (3, ესპანეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 3:6, 6:4, 6:3**

**ნახევარფინალი: მუსტერი — ალამი 3:6, 6:2, 6:4; ბერასატეგი — მოია 6:1, 6:1**

**ფინალი: ბერასატეგი — მუსტერი 3:6, 6:1, 6:3**

ერთ-ერთი ყველაზე დაბალი კაცი ჩოგბურთელი, ალბერტო ბერასატეგი ეშტორილის ჭირვეულ ამინდს — ხანმოკლე თავსხმებსა და ძლიერ ქარს ყველაზე უკეთ გაუმკლავდა და თავისი მომაკვდინებელი საფირმო ფორჰენდით ყველა მეტოქე, მეთოთხმეტე ტიტული და 84 ათასი დოლარიც მოინადირა. მაინცდამაინც ნაწყენი ფინალში დამარცხებით არც თიხნარის ყოფილი მეფე, ამ ტურნირის ორგზის ჩემპიონი ტომას მუსტერი დარჩენილა — მთელი შარშანდელი სეზონის განმავლობაში საყვარელ საფარზე მას ნახევარფინალისთვისაც კი არ მიუღწევია.

ჰონკონგი. „სალემ ოუფენ“.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 345 000 $

**ფინალი: კენეტ კარლსენი (8, დანია) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:2, 6:0**

წვიმის გამო სამი საათით გვიან დაწყებულმა ფინალმა კენეტ კარლსენი ისტორიაში შეიყვანა — იგი ATP ტურის გამარჯვებული პირველი დანიელი შეიქნა.

**ავთანდილ სვანიძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29